cyan magenta yeloow black

საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფაფიღებით და ჭიარებით ბეჭთის გაფანა ყველა უკარისიბაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 5 იანვარი. 2016 წ. №1 (7893), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.

პატრიარქი 83 წლისაა, ვულოცავთ!

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პატრიარქს დაბადების დღეს ულოცავს.

„თქვენო უწმინდესობავ, გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს!

ბედნიერებაა, როდესაც ერს ჰყავს ისეთი სულიერი წინამძღოლი, როგორიც თქვენ ბრძანდებით.

თქვენი მრავალწლიანი, დაუღალავი მოღვაწეობა გზამკვლევია შინაგანი სრულქმნის გზაზე თქვენი მრევლისათვის.

თქვენი პირადი ღვაწლი უახლესი ისტორიის ყველაზე დრამატულ მომენტებში გვეხმარებოდა განსაცდელთაგან გაძლიერებულნი გამოვსულიყავით და მეტი შემართებით გაგვეგრძელებინა სწრაფვა უკეთესი მომავლისაკენ.

კვლავაც დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და მხნეობას გისურვებთ საქართველოსა და თქვენი სამწყსოს საკეთილდღეოდ.

ღმერთი გფარავდეთ თქვენ და ჩვენ ქვეყანას!“, – აღნიშნავს გიორგი მარგველაშვილი.

შეცვლილი პრემიერი, შეუცვლელი კურსი 3

ღია ბარათი ქალბატონ ნანი ბრეგვაძეს 12

ჩვენი მტრის ოჯახში შევიდა მეკვლედ გია ხუხაშვილი!

ექსპერტები თუ მოჩუხჩუხე სანამლავები? 2

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.396; ევრო - 2.614;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.52;
100 რუბლი - 2.25; თურქული ლირა - 0.82;
აზერბაიჯნული მანათი - 1.537;
1000 სომხური დრამი - 4.947

ამინდი 5 იანვრისთვის

აღმოსავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე -7,	დღე +9
მთიანი რაიონები -	ღამე -9,	დღე +6
დასავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე -1,	დღე +10
მთიანი რაიონები -	ღამე -7,	დღე +7
თბილისი:	ღამე -5,	დღე +7

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

◎ ექსპერტები თუ მოჩუხჩუხე საწამლავები?

ჩვენი მტრის ოჯახში შევიდა მეკვლედ გია ხუხაშვილი!

— წესიერი ადამიანები, თავი მოქალაქეებად რომ მიაჩნიათ, ახალ წლის დღეს იმედიან სიტყვას ეუბნებიან თანამოქალაქეებს, თვითონ უიმედოდაც რომ იყონ, მაინც ოპტიმისტურ ფანტაზიას მიმართავენ და ლოცავენ ქვეყანას, ბნელი გვირაბის ბოლოს თუნდაც მცირე სინათლეს გვიმისნებენ?

— ვიღაცაზე გაბრაზებული ჩანხარ, ვინ არის ეგ ავი მეკვლე, ამ ახალი წლის დღეებში ბნელ მომავალს რომ გვიწინასწარმეტყველებს!

— ეგენი, დიდად სამწუხაროდ, ცოტანი არ არიან, მაგრამ მაგ ვაიგულთმისნებს ამჯერად ცნობილი გავანგებულ-გაექსპერტებული ხუხაშვილი გია ამირსპასალარობს, რომელსაც თავდაპირველად ოცნების ძუძუ ედო პირში და კარგა გვარიანად სწოვდა კიდეც, მაგრამ მალე რატომღაც პირი გაუმწარდა და ენაც გაიწიწაკიანა, მარტოოდენ ავისა და ბოროტის ხედვა დაიწყო, ფუჭ პოლიტიკურ ნათელმხილველობას მიჰყო ხელი, რომელი ხელიც ცოტა ხნით ადრე ერთი ფრიად მსუქანი ჯიბისკენ ჰქონდა გაწვდილი, თუმცა, როგორც ჩანს, ამ მსუქანმა ჯიბემ ძალიან ახლოს არ მიუშვა, ისევ მჭლე ლუკმაზე დატოვა, რამაც ოცნების თანამებრძოლი ხუხაშვილი ექსპერტი გახადა, ექსპერტმა ხუხაშვილმა კი ყველა ნათურა ჩააქრო, რომელიც კი 2012 წლის შემდეგ აინთო და 2016 წლის მეკვლეობა იმით დაიწყო, რომ ერთ-ერთი გაზეთის ფურცლებიდან 31 დეკემბერს ისევ ავად და ხალხის გულის გასახეთქად იგულთმისნა: საქართველოს ეკონომიკას არანაკლებ რთული 2016 წელი მოელისო, პირველ კვარტალში ინფლაციური წნეხი კვლავინდებურად დიდი იქნებაო... მართალია, 2015 წელი რთული იყო, მაგრამ 2016 ყველაზე (ZIC!)რთული გამოდგებაო, რადგან მოუგვარებელ პრობლემებს კიდევ ბევრი დაემატებაო. საბოლოო ჯამში მოხდა ისე, რომ ხელისუფლებამ სისტემა ფაქტობრივად მძევლად აიყვანაო... სოციალური რისკების ტენდენცია გაგრძელდებაო. საარჩევნო წელია და ესკალაცია გაიზრდება ყველა მიმარულებით, 2016 ფრიად პრობლემური წელიწადი მოგველისო... ხოლო ეს ყველაფერი რომ თავიდან ავიცილოთ და გავფონოთ, სამშვიდობოს გავიდეთ, ენაგაბრტყელებული ექსპერტი ხუხაშვილი, ჩვეულებისამებრ, ვერაფერს ფარსაგს ვერ გვთავაზობს.

— ერთი სიტყვით, როგორც ძველი მართლა მართლმორწმუნე ქართველები იტყოდნენ, ჩვენი მტრის ოჯახში შევიდა მეკვლედ გია ხუხაშვილი, რომელსაც ავსიტყვაობისდა მიუხედავად, კეთილგონიერება უნდა ვუსურვო და მეტი იმედიანი სიყვარული იმ ქვეყნის მიმართ, რომლის შვილად და მოქალაქედ წარმოუდგენია არცთუ მაინცდამაინც ჩვენი ცხოვრებისთვის მარგებელი აზრებით გამოტენილი თავი.

— ისე, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილად დროა, გავარკვიოთ ხუხაშვილი და ხუხაშვილისთანა ენად გაკრეფილი, ჰაერზე მოლაპარაკე, ცოტა არ იყოს, ნაციონალების მომაკვდავი, მაგრამ მაინც გაუმაძღარი გულის გასახარად უანალიზოდ აჭიკჭიკებული ექსპერტ-გულთამხილავები საქართველოს ავისმნდომნი არიან თუ კეთილმოსურნენი... და ხუხაშვილისა და ხუხაშვილისთანების ჯიბრზე ჩვენებურად, ძველებურად უნდა შემოვძახო: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა!..

ქვის ქვეშ ჩვენი დამძრახველი და ავად მახსენებელი!

ჩაიწერა
გურამ წიკლაურმა

◎ 800 ოჯახი ბევრად მეტია 450-ზე!

20 ტელეკომპანია: რომელი სჯობს?

2016 წლის 1 იანვრიდან სატელევიზიო რეიტინგების ბაზარზე ახალი კომპანია შემოვიდა

„ტრი მედია ინტელიჯენსი“ ტელევიზიებისა და სარეკლამო კომპანიების წარმომადგენლებს რეიტინგის გაზომვის ახალ მეთოდს სთავაზობს. სიახლის მიუხედავად, სატელევიზიო რეიტინგის ბაზარზე ახალი კომპანიის გამოჩენა შეკითხვებს უჩენს ტელევიზიების წარმომადგენლების ნაწილს. რეიტინგების ბაზარზე კონკურენტი კომპანიის შემოსვლა ეჭვებს უჩენს „თივი ემ არ საქართველოს“, რომელიც 11 წელიწადია სატელევიზიო ბაზარზე მუშაობს.

სატელევიზიო რეიტინგებს საქართველოში, ამ დრომდე, მხოლოდ ერთი კომპანია ზომავს. ქვეყნის მასშტაბით 450-მდე ოჯახში ჩამონტაჟებული ეგრეთ წოდებული „ფიფლ მეტრები“ და ამ ოჯახებიდან მიღებული ინფორმაცია — სწორედ ამ გზით ადგენს კომპანია „თივი ემ არ საქართველო“ სატელევიზიო რეიტინგებს. 2016 წლის პირველი იანვრიდან კი ბაზარზე ახალი კომპანია გამოჩნდება. ამ პერიოდიდან გეგმავს მუშაობას „ტრი მედია ინტელიჯენსი“, რომელიც საერთაშორისო კომპანია „კანტარ მედიასთან“ თანამშრომლობს. 7 დიდ ქალაქში დამონტაჟებულ 800-მდე „ფიფლ მეტრი“ — ახალი კომპანია უკვე მოქმედისთვის კონკურენციის გაწევას ამ გზით გეგმავს.

„ვინ არის ბიზნესორიენტირებული ტელევიზია, ის ჩვენთან იმუშავებს. თუ სხვა მოტივებია, გასაგებია. ჩვენ არავის გამოვეკიდებით. ბიზნესორიენტირებულ მედიას დიდი ალტერნატივა არც ექნება“, — აცხადებს კომპანია „ტრი მედია ინტელიჯენსის“ თანადამფუძნებელი მერაბ ფაჩულია.

ტელეკომპანიები კი, რომელთა რეიტინგსაც, ამ დროისთვის, „თივი ემ არ საქართველო“ ზომავს, ახალ კომპანიასთან კონტრაქტების გაფორმებას არ ჩქარობენ.

„ჩვენ დავაკვირდებით პროცესებს და შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას, ამ კომპანიასთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით“, — განმარტავს „რუსთავი-2-ის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია.

„ჩვენნაირ ბაზარზე ორი კომპანია უბრალოდ ვერ იქნება. ახალი კომპანიის გამოჩენა ალბათ, რაღაც ახალი ეტაპის და ახალი ბრძოლის დასაწყისი იქნება“, — მიიჩნევს ტელეკომპანია „კავკასიას“ ხელმძღვანელი ნინო ჯანგირაშვილი.

ახალ კომპანიასთან თანამშრომლობას არ გამორიცხავს ტელეკომპანია „ჯი დი ესი“, რომელიც გამოცემა „ჯორჯია თუდეის“ მიერ მომზადებული სტატიის მიხედვით, მზარდი რეიტინგით ხასიათდება. სტატიაში აღნიშნულია, რომ რებრენდინგებულმა კომპანიამ მალე შესაძლოა სატელევიზიო ბაზარზე წამყვანი ადგილი დაიკავოს.

„შემდეგი 12 თვე ყველაფერს ვიზამთ, რომ ამ პოზიციაზე საბოლოოდ გავიდეთ და გავმყარდეთ. მოვისმენთ კიდევ ერთ ორგანიზაციას, რომელიც გვეტყვის, როგორ აპირებს იმის გაზომვას, რაც აქამდე საკმაოდ აქტიური კითხვის ნიშნის ქვეშ იყო“, — ამბობს ტელეკომპანია „ჯიდიესის“ მარკეტინგის მენეჯერი ზურა შარაშენიძე.

სატელევიზიო რეიტინგების ბაზარზე კონკურენტი კომპანიის გამოჩენას ეჭვის თვალით უყურებენ „თივი ემ არ საქართველოში“.

„მიმდინარე ეტაპზე, როდესაც სარეკლამო სატელევიზიო ბაზარი შემცირდა და რეალურად დაფინანსება შეუმცირდა ყველა მის მოთამაშეს, როგორც სატელევიზიო არხებს, ასევე სარეკლამო სააგენტოებს, გაუგებარია, საიდან წარმოიქმნა ფული, რომლითაც დაფინანსდა ახალი კომპანია“, — აცხადებს „თივი ემ არ საქართველოს“ დირექტორი ნინო გოგოლაძე.

„მნიშვნელოვანი ნაწილი არსებული პროდუქტის ხარისხით კმაყოფილი არ არის. შესაბამისად, „კანტარ მედიამ“ გადაწყვიტა, რომ ეს კარგი შესაძლებლობაა მათთვის, რომ კიდევ ერთი ქვეყანა დაიმატონ თავის სიაში და კიდევ ერთ ქვეყანაში შემოვიდნენ“, — განმარტავს „ტრი მედია ინტელიჯენსის“ დირექტორი ცოტნე მირცხულავა.

კომპანია „ტრი მედია ინტელიჯენსი“ სატელევიზიო ბაზარზე ოფიციალურად 2016 წლის პირველი იანვრიდან შემოვიდა. ისინი სწორედ ამ დღეებში აპირებენ 20-მდე სატელევიზიო არხის რეიტინგების გამოქვეყნებასაც, რომელთაც პირველ ეტაპზე უკვე აკვირდებიან. სავარაუდოდ, სწორედ ამ რეიტინგების გამოქვეყნების შემდეგ გადაწყვეტენ ტელევიზიები, დაუკვეთონ თუ არა რეიტინგი ახალ კომპანიას. მანამდე კი ტელევიზიების რეიტინგებს კვლავ „თივი ემ არ საქართველო“ ზომავს, რომელსაც, პარალელურად, სასამართლო დავა აქვს საგადასახადო სამსახურთან. დავა კი 2014 წელს დაწყებულ პროცესებს უკავშირდება, როდესაც კომპანიაში შემოსავლების სამსახური შევიდა.

commersant.ge

◎ ახალი ლექსი

ბათუ დანელია

ახალი წლის სადღეგრძელო

დავისხი ღვინო და ძველი წლის ბოლო წამს
ვუცდი, რომ ახლისა დავიწყო მოლოცვა...
და როცა შეუღლდნენ ისრები საათის
და ძველ წელს კარებზე კლიტენი დაადეს —
მე ფეხზე ვდგები და ახალ წლის შემოსვლას
ვულოცავ მთელ ერს და მთელ საქართველოსა
და ყველას, სუყველას, მის ცისქვეშ ბინადრებს,
ვინც კი მას მთლიანს და ერთიანს ინატრებს...
დედაეკლესიას და მის მწყემსს — პატრიარქს,
ვისიც მთელ ქვეყანას რწმენა და ხათრი აქვს,
ქართველ გლეხს, მარჩენალს ქვეყნის და ოჯახის,
ვინც, რაგინდ უჭირდეს, მაინც ჩანს ყოჩაღი
და მაინც ფასი აქვს მის შეკრულ ულოსა...
ვულოცავ ბებიებს, ბაბუებს ვულოცავ,
დევნილებს, რომლებიც ფუძიდან აჰყარეს
და მალე მიუვლენ მშობლიურ სახლ-კარებს...
ოფიცრებს, გენერლებს და ყოველ ჯარისკაცს,
ვინც ჩვენთვის ურჩხულთან შებმასაც გარისკავს...
და ყველას ვულოცავ მოხელეს, ჩინოვნიკს —
საქმენი ჰქონოდეთ წელს თვალსაჩინონი!
ვულოცავ ზემდგომებს, თავკაცებს სუყველას,
ვის გული ერისთვის, ქვეყნისთვის უღელავს
და ვინც არ შესწირავს დროს ერთგულ პაიკებს,
ხალხს მისცემს სიკეთეს, თვითონ კი დაიკლებს...
და ელჩებს ვულოცავ — ფრანსუებს, მაიკლებს,
ვინც ქართულ ადათის ღირსებას გაიგებს...
ვულოცავ წინასწარმეტყველს და ასტროლოგს,
გვაფრთხილონ, თუკი ცა გვიპირებს „გასტროლებს“...
ახალშობილებს და მათ მშობლებს ვულოცავ —
ამაგრონ ეს მიწა, ეს საბულბულო ცა!
ვულოცავ ბრძენკაცებს, სწავლულებს, მწიგნობრებს! —
გვეცხოვროს, როგორაც ისინი ფიქრობენ!..
ვულოცავ რეჟისორს, ვულოცავ დრამატურგს —
წელს მეტი სპექტაკლი დადგან და გამართონ!..
ვულოცავ მომღერლებს და ყველა მსახიობს,
მათ ძალუძთ, სიავე უკან რომ დახიონ...
ვულოცავ პოეტებს და სიტყვის მსახურებს,
ვინც ეშმაკს, ღვთის მადლით, ზემოდან დაჰყურებს.
ვულოცავ დიქტორებს, ვულოცავ წამყვანებს,
ვინც დამწუხრებულსაც ბედნიერს გვამგვანებს.
ვულოცავ მფრინავებს! ვულოცავ მშენებლებს,
რომლებიც ღვთის სახლსაც ღვწით დაამშვენებენ.
ვულოცავ მოძღვარებს, ვულოცავ შეგირდებს,
რომლებიც ბედნიერ მომავალს შეგვპირდნენ...
ვულოცავ სამართლის მცველებს და ექიმებს,
ვინც ტკივილს გულებში არ ჩაგვალექინებს.
ვულოცავ გასულებს სამშობლოს გადაღმა! —
გვეყო! — ჩვენს საზღვრებზე ბალახი გადახმა...
ვულოცავ მაჭარას, მეტეხს და შენაქოს! —
დე, ამ წელს ქართველებს საშველი გვენახოს!
გვიძღოდეს ეს წელი ასახდენ ჟინისკენ!
ვულოცავ ჩემ თბილისს და ყველა თბილისელს
და ყველა ქალაქს და სოფელს და დაბას და...
ქალებს, ვინც დგას ახლა შიშხინა ტაფასთან,
კაცებს, ვინც სუფრაზე შლის ლხინის იალქნებს,
ვულოცავ ბავშვებს და ბერებს და დიაკვნებს,
ვინც ახლა ხატის წინ სიკეთეს ქადაგებს.
ვულოცავ მდიდრებს და ვულოცავ ღატაკებს,
რომლებიც სარჩოსთვის სად და სად ვეთრიეთ...
დე, იყოს ეს წელი ყველასთვის ბედნიერ!
გვწამდეს, რომ წელს ყველას ერთობა გვაღვაწებს!
გილოცავთ! გილოცავთ! გილოცავთ ახალ წელს!

შეცვლილი პრემიერი, შეუცვლელი კურსი

წინასაახალწლო დღეებში მთავრობამ კიდევ ერთი სენსაციური საჩუქრით გაახალისა ცხოვრების უამურობით წელგამწყდარი საზოგადოება. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება გადადგომის თაობაზე. არავინ რომ არაფერს მოელოდა, ეს ჩვენი მოწონებული მთავრობის თავკაცი გადმოდგა ტელეეკრანიდან, გვაუწყა, თანამდებობიდან მივდივარო და პირღიმილით დაგვემშვიდობა!

პრემიერის უცაბედმა გადადგომამ, ბუნებრივია, ქვეყნის ისედაც დაბნეული საზოგადოება კიდევ უფრო დააბნია. მოსახლეობაში უმალ გაჩნდა კითხვები: **რატომ გადადგა ასე სასწრაფოდ ღარიბაშვილი? თუ მართლა ისეთი წარმატებული იყო, როგორც თავად განაცხადა, მაშინ რატომ უნდა გადამდგარიყო? თავისით გადადგა თუ აიძულეს, გადამდგარიყო? და თუ აიძულეს, რომელი ძალა ან პიროვნება შეიძლება ყოფილიყო იძულების ავტორი?** ამ შეკითხვების იქით რატომღაც არავინ წასულა, არ უფიქრია, პრემიერს მაინცდამაინც ქვეყანა უნდა დაენგრია იმისთვის, რომ გადამდგარიყო?!

თუმცა ისეთ ქვეყანაში, რომელსაც 9 წლის მანძილზე სააკაშვილის ნაცბანდა ანგრევდა, სულაც არ გახლავთ გასაკვირი ამ კითხვის დაუსმელობა. ლაპარაკია კაცზე (მიშა ოღრაშზე მოგახსენებთ), რომელმაც რუსეთთან ომში საკუთარი მზაკვრობით დაკარგული ქვეყნის ტერიტორიების შემდეგ, გადადგომის ნაცვლად, ხალხი რუსთაველზე აზეიმა, რომელმაც ციხეებში ათეულათასობით უსამართლოდ გამომწყვდეული პატიმრების წამება-გაუპატიურების შემდეგ, გადადგომის მაგივრად, კონსტიტუციის დარღვევით, საპრეზიდენტო უფლებამოსილება კიდევ ერთი წლით გაიხანგრძლივა. ესეც არ იკმარა და უკრაინას თავშეფარებულმა დამნაშავე ნაპრეზიდენტალმა შარშან ნოემბერში საქართველოში ახალი რევოლუციის მოწყობა განიზრახა. რევაშისტული მანიით შეპყრობილ ნაცებს, ისევე როგორც ბევრი სხვა საქმე, „რუსთავი-2“-ის ირგვლივ ატეხილი სკანდალიც ჩაუვარდათ, არადა მსოფლიო შეაწუხეს იმის ყვირილით, თითქოს საქართველოში თავისუფალ სიტყვას სდევნიდნენ.

იმის თქმა მინდოდა, ქვეყნის „მაოხარი გზირის“ ეპითეტით შემკულმა სააკაშვილმა, ძალაუფლების უზურპატორული მანიაკობით, იმდენად მოაბეზრა ხალხს თავი, რომ ამა თუ იმ ხელისუფლის საკუთარი სურვილით გადადგომა, ადამიანებს უკვე უჩვეულო, არარეალურ შემთხვევად მიაჩნიათ. არადა, როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განმარტა, მასზე ადრე ეს უპრეცედენტო ნაბიჯი ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გადადგა, რომელმაც მისი პოპულარობისა და გავლენის ზენიტში მყოფმა დატოვა თანამდებობა. **„მან შეძლო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა აკეთოს პოლიტიკოსმა ძვეყნისთვის სასარგებლო საქმე, როგორც დროული მოსვლით, ისე დროული წასვლით თანამდებობიდან“.**

რაც მთავარია, თავად ბიძინა ივანიშვილმა მოიწონა და საქვეყნოდ შეაქო ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილება. მისი თქმით, პრემიერმა თავის წარმატებული მოღვაწეობის ზენიტში დატოვა პოსტი, რითაც ევროპული დემოკრატიის გზაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. **ღარიბაშვილი გახლავთ დიდი შესაძლებლობების მქონე პოლიტიკოსი, რომელსაც შეუძლია ეს შესაძლებლობები წარმატებით გამოიყენოს, როგორც ძველ გუნდში დარჩენის შემთხვევაში, ისე მაშინ, თუ ის ახალ გუნდს შექმნის.**

პრემიერყოფილის მაინც რა წარმატებაზეა საუბარი, არ გაინტერესებთ? როგორც თავად ღარიბაშვილმა განაცხადა, მისი პრემიერ-მინისტრობის დროს **ქვეყანაში დამკვიდრდა მშვიდობა და სტაბილურობა, კანონიერება და ჰუმანურობა, მოქალაქეებს დაუბრუნდათ ყველაზე მთავარი — თავისუფლება და ღირსება. ქვეყანაში გატარებული მასშტაბური რეფორმებითა და სამთავრობო პროგრამებით შეიქმნა მყარი საფუძვლები ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისთვის, გაფორმდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და დაიწყო თავისუფალი ვაჭრობა. მიღწეულია ასევე უვიზო მიმოსვლა ჩვენი მოქალაქეებისთვის, რითაც შეუქცევადი გახდა საქართველოს ინტეგრაცია დიდ ევროპულ ოჯახში.**

რა არის საქართველოში საუკეთესო ბიზნესი? — ცხადია, ხელისუფლებაში ყოფნა. რატომ განაგებს ხელისუფლება მთლიანობაში ეკონომიკას? იმიტომ, რომ რენტას ანაწილებს. აი, ეს არის მთავარი უბედურება

არ დაიჯეროთ, ეს ყველაფერი ქვეყნის კულისებიდან მმართველის — ივანიშვილის და მის მიერ დასმული მარიონეტის — ღარიბაშვილის შეთხზული ზღაპარიაო, — გვარწმუნებენ ვირისტვინა მიშნაცები. ერთადერთი რაც ამათ მიაღწიეს, ის არის, რომ ჩვენს მიერ ნაშენები ქვეყანა ერთიანად დაანგრიეს, ეკონომიკა მიწასთან გაასწორეს, კორუფცია გააცოცხლეს, ხალხი უსაქმოდ დატოვეს და დაამშიესო. მაგრამ ფაქტები და ციფრები რომ სულ სხვას ლაპარაკობენ ყბედებად ქცეულო ჩვენო ცრუპენტელა ნაცებო?!

მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი კვლევის მონაცემებით, **საქართველოს მთავრობის ეფექტიანობის 2014 წლის მაჩვენებელი საუკეთესოა ბოლო 18 წლის განმავლობაში. მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში. მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტით გლეხებმა 306 მილიონი ლარის დახმარება მიიღეს. დამუშავდა 600 ათას ჰექტარზე მეტი მიწა, ფერმერებს უსასყიდლოდ დაურიგდათ 248198291 ლარის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და მცენარეთა მოვლის საშუალებანი. უმსხვილესი ინვსტორების მიერ განხორციელდა 2 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია. ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, მთელ მსოფლიოში პირველად საქართველოში C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტები უფასოდ მკურნალობენ უახლესი თაობის ძვირაღირებული მედიკამენტებით.** ეს მხოლოდ ზოგიერთი მონაცემია იმ წარმატებისა, რასაც ქვეყანამ „ოცნების“ მმართველობის პერიოდში მიაღწია.

ნაცები რატომაც იგესლებიან და რატომაც არამარას აყრიან „ოცნების“ ნაკეთებ საქმეებს, გასაგებია, მაგარმ არიან სპეციალისტები, ცალკეული ექსპერტები, რომლებიც სწორედაც რომ საქმიანი, პროფესიული თვალსაწიერიდან აკრიტიკებენ კოალიციური ხელისუფლების ნაშრომ-ნაღვაწს. მათ არ სჯერათ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების შეფასებისა, რადგან ფიქრობენ, რომ ისინი პოლიტიკური დატვირთვის მატარებლები არიან. **ეკონომიკა კი 25 წელიწადია, წინ არ მიდის და ეს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მონაცემებსაც ეტყობა, რომლის მიხედვითაც მდგომარეობა ფაქტობრივად არ გაუმჯობესებულა.** მთავარი პრობლემა, რასაც წლებია, ვუყურებთ, არის დილენტალიზმი და გაუაზრებელი პოლიტიკა, რომელმაც შედეგი ვერასდროს მოიტანა. ქვეყანაში არსებული ინსტიტუციები და მენტალობა, ექსპერტ **დემურ გიორხელიძის** აზრით, ხელს არ უწყობს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას. **დღეს ყველა, ხელისუფლებით დაწყებული და ბიზნესით დამთავრებული, ამბობს ის, სიმდიდრის გადანაწილებაზეა ორიენტირებული. არ გვაქვს პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს სიმდიდრის შექმნას და არა სიმდიდრის გადანაწილებას.** რა არის საქართველოში საუკეთესო ბიზნესი? — ცხადია, ხელისუფლებაში ყოფნა. რატომ განაგებს ხელისუფლება მთლიანობაში ეკონომიკას? იმიტომ, რომ რენტას ანაწილებს. აი, ეს არის მთავარი უბედურება, — ასკვნის ეკონომიკის ექსპერტი.

მარტო ეკონომიკა ხომ არ არის, უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, სამართლებრივი რეფორმების განხორციელების, ინფრასტრუქტურის განვითარების და რიგ სხვა სფეროებში. მთლიანობაში თითქოს ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ამ ქმედებებს არა აქვს სისტემური ხასიათი, ისინი კამპანიურია. **იმის გამო, რომ დროულად ვერ იზეიმა ქვეყანაში სამართლიანობამ და ვერ გადაწყდა დასაქმების პრობლემა, მოსახლეობაში „ოცნების“ რეიტინგი საგრძნობლად შემცირდა.** შეძლებენ კი პრემიერი კვირიკაშვილი და მისი სამთავრობო გუნდი, რომელიც ჯერაც არ განახლებულა, ამ პრობლემებთან გამკლავებას?

იმედიანად არის განწყობილი ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი. მისი თქმით, გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც პრემიერად არჩევამდე მცირე ხნით ქვეყნის საგარეო პოლიტიკას უძღვებოდა, ნამდვილი აღმოჩენა იყო ჩვენი ევროპელი და ამერიკელი პარტნიორებისათვის. მან მათში დაკვირვებული, საქმიანი და პროფესიონალი პოლიტიკოსის შთაბეჭდილება დატოვა. ამიტომაც იყო, რომ პრემიერის კანდიდატურის შერჩევაში გადამწყვეტი სიტყვა ბიძინა ივანიშვილმა თქვა და არჩევანი გიორგი კვირიკაშვილზე შეაჩერა. ეს გადაწყვეტილება მყისიერად მოიწონა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, შემდეგ კი საპარლამენტო უმრავლესობამ, რომელმაც კვირიკაშვილს სრული ნდობა გამოუცხადა. მასთან პრეტენზიები მხოლოდ ნაციონალებს აქვთ, მიაჩნიათ, რომ ის დამოუკიდებელი ვერ იქნება და წინამორბედის მსგავსად, ივანიშვილის მითითებების შემსრულებლად გადაიქცევა.

ნაცები კი ისევ ძველ ჰანგზე მღერიან, მაგრამ როგორც პარლამენტის უმრავლესობა-უმცირესობასთან შეხვედრებისას მოვისმინეთ, კვირიკაშვილს განზრახული აქვს, ახალი წლის პირველსავე დღეებში შეხვდეს საზოგადოების ფართო წრეების წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ბიზნესმენებს, მოისმინოს მათი საქმიანი შენიშვნები და წარმოადგინოს სამთავრობო პროგრამა, რომლის კურსი — ევროპული ღირებულებებისკენ სწრაფვა, ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნება-გაძლიერება, მეზობლებთან პრაგმატული პოლიტიკის წარმოება, — იგივე დარჩება, რაც იყო 2012 წელს. **ეს არის ის მონაპოვარი, რასაც მივაღწიეთ, მაგრამ ახლა დადგა დრო უფრო ეფექტური და სწრაფი ნაბიჯების გადადგმისა. ახალ მთავრობას აქვს კონცეფცია, რომელიც მოიცავს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან გეგმებს. ესაა მოქმედებები, რომლებმაც მსხვილ ბიზნესთან ერთად უნდა დააინტერესოს მცირე ბიზნესი, შექმნას სამუშაო ადგილები, ძირეულად გაუმჯობესოს ხალხის ეკონომიკური და სოციალური ყოფა.**

ეს ყველაფერი თუ რეალობად იქცა, არა მგონია ნაცებს მომავალ არჩევნებში საქმე სამღერლად ჰქონდეთ!

ოთარ ხუციშვილი
(599482725)

◎ კოჭლი სამართალი

მამუკა ახვლედიანი წულუკიანს აკრიტიკებს...

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სხდომაზე მისვლას საჭიროდ არ მიიჩნევს. როგორც მან გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, იგი საბჭოს სხდომაზე დაბარებული იყო, სადაც სავარაუდოდ მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს განიხილავენ.

„დღეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაა დანიშნული. არ ვიცი, რა საკითხებს განიხილავენ. მეც შემატყობინეს და მითხრეს, რომ სხდომაა, თუმცა, არ ჩავთვალე საჭიროდ სხდომაზე მისვლა. შეფასებებს აპირებენ ჩემი განცხადებების. მე ვფიქრობ, რომ ჩემს განცხადებებზე მნიშვნელოვანი პრობლემატიკა არსებობს სასამართლო სისტემაში და სჯობს, ამ საკითხებზე იმსჯელონ. ის, რომ ჩემს განცხადებებს განიხილავენ, ჩემთვის ცნობილი გახდა, როდესაც ტელეფონით შემატყობინეს“, — განაცხადა მამუკა ახვლედიანმა.

მან ასევე გააკრიტიკა იუსტიციის მინისტრი და განაცხადა, რომ თეა წულუკიანი კანონპროექტებს განწყობის მიხედვით იღებს.

„ნამდვილად არავის აღარ ეშინია არანაირი განცხადების. მე ერთი რამის მეშინია, რომ ამ გაბრაზებულზე ქალბატონმა თეამ რაიმე კანონპროექტი არ მიიღოს. რამდენი ქალბატონი თეა გაბრაზდა, იმდენი ახალი კანონპროექტი მიიღო და ბევრი პრობლემატიკის სათავეც ალბათ აქ არის. ამ გაბრაზებულზე ნამდვილად მეშინია იმის, რომ რაიმე კანონპროექტი არ მიიღოს, რომ მოსამართლეები ვინმეს პირდაპირ არ დაგვიქვემდებაროს და ეს სისტემა სადმე სხვა უწყებას არ დაუქვემდებაროს,“ — აღნიშნა მამუკა ახვლედიანმა.

ოჰ, ევა, ევა, მურუსიძე ადამი გახადეთ და ეგ არის?!

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ევა გოცირიძე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ ლევან მურუსიძის უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ სიტუაცია გარედან სხვაგვარად ჩანს და ლევან მურუსიძისადმი მხარდაჭერა ბევრმა ფაქტორმა განაპირობა. გოცირიძის თქმით, ეს გადაწყვეტილება საბჭოს არამოსამართლე წევრებმა ლევან მურუსიძისადმი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეთა კორპუსის მხარდაჭერის გამო მიიღეს. ამასთან, ევა გოცირიძის თქმით, სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება მოსამართლეთა კორპუსის დემორალიზაციას გამოიწვევდა.

„ჩვენ ავწონ-დავწონეთ ძალიან ბევრი თემა, ბევრი ფაქტორი და მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. მთავარი არგუმენტი მის სასარგებლოდ იყო ის, რომ მას მხარს უჭერს მოსამართლეთა კორპუსი. გარდა ამისა, ჩვენ გავითვალიწინეთ ის, რომ თუ ეს გადაწყვეტილება მიღებული არ იქნებოდა, ეს გამოიწვევდა მთელ მოსამართლეთა კორპუსში ძალიან მსუსხავ ეფექტს და მათ დემორალიზაციას. მე რომ გარეთ ვიყო და არა საბჭოს წევრი, მეც, როგორც საზოგადოების წევრი, ალბათ ასე აღვიქვამდი იმ ინფორმაციიდან და განწყობილებებიდან გამომდინარე, რომელიც არის“, — განუცხადა ჟურნალისტებს ევა გოცირიძემ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა ასევე აღნიშნა, რომ მათ „ქართული ოცნების“ ინტერესების გატარების ვალდებულება არ აულიათ. „რა თქმა უნდა, ჩვენ პარლამენტმა აგვირჩია, მაგრამ ჩვენ არ ვართ „ქართულ ოცნებაზე“ დამოკიდებული, ჩვენ მათთვის ფიცი არ მიგვიცია, რომ მათი პოლიტიკური ინტერესების გამტარებლები ვიქნებოდით“, — განაცხადა ევა გოცირიძემ.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

დიდი აფეთქების, პარალელური სამყაროების ან ჰოლოგრამული სამყაროს ჰიპოთეზები, სამუდამოდ დარჩება დაუმტკიცებელ ვარაუდებად. მათი „ადგილი“ მხოლოდ თეორიულ ფიზიკაშია.

ახსნა ყველაფერს აქვს, მაგრამ არ არსებობენ ისეთი გენიოსები, რომლებიც შეძლებენ მათ გაგებას ან გააზრებას... ადამიანის გონება შეზღუდულია, მან უკვე მიაღწია განვითარების ზღვარს.

ასე ფიქრობენ ცნობილი მეცნიერი-პესიმისტები. მაგალითად, ლონდონის სამეფო საზოგადოების პრეზიდენტი, კოსმოლოგი და ასტროფიზიკოსი მარტინ რისი ამტკიცებს, რომ „სამყაროს დაბადება ჩვენთვის სამუდამოდ დარჩება გამოცანად“.

რატომ ყრიან ფარ-ხმალს მკვლევარები?

საქმესთან „ახლოს“ არიან. აქვთ საფუძველი იფიქრონ, რომ სივრცეს უჯრედოვანი სტრუქტურა აქვს, და თითოეული ეს „უჯრა“ ტრილიონი ტრილიონჯერ მცირეა ატომზე. ამის წარმოდგენა ჩვენი ტვინის „ადუღებას“ იწვევს. დამტკიცება, უარყოფა ან გაგება, თუ როგორ მუშაობს ასეთი კონსტრუქცია, ჩვენ — ადამიანებს, არ შეგვიძლია.

სწორედ ამიტომ, ბევრი ცნობილი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ცივილიზაცია იმ ზღვარს მიადგა, სადაც იშლება ზღვარი ფილოსოფიას, მეცნიერებას და სულიერ შემეცნებას (რელიგიას) შორის.

მაგრამ, ჯიუტ ფიზიკოსებს სხვა ამბიციები აქვთ. ისინი ცდილობენ, დაინახონ სამყარო ცნობიერების ზღვარს მიღმა — მათ ვერაფერი შეაჩერებს.

და მაინც, რაც უფრო წინ მივდივართ შემეცნებაში, მით უფრო ვუახლოვდებით წინაპართა პოსტულატს, რომ — ARAფერია ღმერთის გარდა და ყველაფერი არის ღმერთი! მეცნიერება წრებრუნვას ასრულებს, კრავს წრეს და ერწყმის რელიგიას. ამას კი დამტკიცება არ სჭირდება (ნებისმიერი მღვდელი აგიხსნით, მარტივად).

და რელიგია ვისი შექმნილია, კაცი შვილმა არ იცის. დიდი ალბათობით, ეს მარადიული, მაგრამ ექსპერიმენტულად შეუმეცნებელი იდეა ადამიანს არ ეკუთვნის, რადგან, მეცნიერთა აზრით, ჩვენი აზროვნება ამ მხრივ, შეზღუდულია.

გამოდის, რომ პრინციპში, სწორედ აღნიშნულ „არაადამიანურ“ იდეას, ანუ ღმერთის არსებობას ამტკიცებს თანამედროვე მეცნიერება - სამყაროს დაბადების სხვა ვერსია არ გვაქვს, და არც გვექნებაო! ჰოდა, უნდა ვეღოდოთ, რომ ადრე თუ გვიან, ეს „იდეა“ მაინც დამტკიცდება, მეცნიერულად!

P. S. სულაც არ არის გამორიცხული (პირიქით, მოსალოდნელია), რომ ქართველმა მკვლევარებმა, ათეისტებმა, ფილოსოფოსებმა ან თეოსოფოსებმა თავიანთი კატეგორიული და კომპეტენტური აზრი გამოთქვან ამ თემაზე (მერე რა, რომ ფიზიკოსები შეიძლება არც იყვნენ) და ცოტა წინ წაწიონ ჩვენი ეს „გადაულახავი“ აზროვნების ზღვარი.

ამ იმედით ვაქვეყნებ ამ წერილს.

გადაულახავი აზროვნების ზღვარი

აქ შევეცდები დღევანდელი არეული მსოფლიოს ფონზე, ამ ქაოსის მომწესრიგებელ ფაქტორებზე, სხვადასხვა ეპოქებში მათ დომინანტობაზე და ცივილიზაციათა განვითარების ან დასუსტების მიზეზებზე ვისაუბრო.

ცალკეული საზოგადოების, სახელმწიფოების თუ მთელი ცივილიზაციების განვითარებაში წყალგამყოფ მიჯნას — შემაკავებელ ან მასტიმულირებელ ეფექტს, ორი ფაქტორი განაპირობებს. ესაა რელიგია და ტექნოლოგიები, ანუ სულიერება და მეცნიერება, სხვა სიტყვებით — დოგმატური და ინოვაციური აზროვნება. ერთის გავლენის ზრდა ყოველთვის მეორის დაკნინებას იწვევს და პირიქით. ამა თუ იმ ეპოქაში, ამა თუ იმ ცივილიზაციის აყვავება ან დაცემა პირდაპირაა დამოკიდებული რელიგიის გავლენის, მისი ძლევამოსილების ხარისხზე. რაღაც ეტაპზე ეს ერთი ფაქტორი აწესრიგებდა ადამიანთა საზოგადოებას, სხვა ეტაპზე კი - მეორე. ამას ადასტურებს კაცობრიობის ისტორია და დღევანდელობა.

ამასთან, დგება მომენტი, როცა რელიგიური ფუნდამენტალიზმი აფერხებს ტექნოლოგიურ პროგრესს, ხოლო ტექნოლოგიური აღმოჩენები ასუსტებს რელიგიურ ფუნდამენტალურ იდეოლოგიას. დასაბამიდან დღემდე სწორედ ასე იყო.

იყო დრო, როდესაც ქრისტიანული სამყარო განვითარების დონით ბევრად ჩამორჩებოდა ჩინეთის და მუსლიმანური სამყაროს ცივილიზაციებს. ამის მიზეზები სწორედ რელიგიური და ტექნოლოგიური ფაქტორების დომინანტობაში უნდა ვეძებოთ.

ამერიკელი ფიზიკოსი **მიჩიო კაკუ** ამ ფენომენს აანალიზებს და წარსული ეპოქის ცივილიზაციათა რეტროსპექტულ შედარებას გვთავაზობს.

სამიზნე, გამყოფი მიჯნა — დედამიწა, ქრისტეშობიდან 1500 წელი.

რომელი ცივილიზაცია იყო დაწინაურებული და ვის ჰქონდა შანსი მსოფლიოში უსაზღვრო, უკონკურენციო ლიდერობისა? ალბათ ნებისმიერს, გარდა ევროპულისა — აცხადებს კაკუ.

იმ ეპოქაში (1500 წელს), აღმოსავლეთით უკვე 1000 წელია ყვაოდა დიდი ჩინური ცივილიზაცია. აქ დაიბადა უდიდესი ტექნოლოგიური აღმოჩენები - ქაღალდი, საბეჭდი პრესი, დენთი, კომპასი და ა.შ., ჩინელი მეცნიერები პლანეტაზე საუკეთესოები არიან. ქვეყანა ერთიანი და ძლევამოსილია, საზოგადოებაში სიმშვიდე სუფევს, ის ვითარდება.

სამხრეთით, ოსმალეთის იმპერიაა, რომელმაც თითქმის მთელი ევროპა დაიმორჩილა. დიდმა მუსლიმანურმა ცივილიზაციამ შექმნა ალგებრა, ხოლო აღმოჩენებმა ოპტიკასა და ფიზიკაში დაამკვიდრა ვარსკვლავთა თანამედროვე დასახელებები. აქ ყვავის კულტურა და მეცნიერება.

ევროპაში კი, ამ დროს, უსუსური სახელმწიფოებია, რომლებიც დაკნინებული არიან რელიგიური ფუნდამენტალიზმით, ურთიერთმტრობით, ინკვიზიციით და ჯადოქრებზე გამართული სასამართლო პროცესებით. დასავლეთი ევროპა, რომის იმპერიის დაღუპვის შემდგომ, უკვე 1000 წელია, სრულიად უნიათო და საღი აზრისგან დაცლილია. ის იმდენად ჩამორჩება ეპოქას, განვითარებულ ცივილიზაციებს, რომ საკუთარ ტექნოლოგიებს ვერ ქმნის და პროგრესული აზროვნების ნაყოფს სხვაგან — აღმოსავლეთით ან სამხრეთით ეძებს. აქ შუასაუკუნეების ნამდვილი შავი ხვრელია — რომის იმპერიის ცოდნა ამ ხვრელშია დაკარგული



და ის სულისშემხუთველი დოგმებითაა შეცვლილი. ოპოზიცია და ნებისმიერი საღი აზრი კი „მწვალებლობად“ აღიქმება და უმკაცრესად ისჯება.

და შემდეგ რა მოხდა?

1500 წლის შემდგომ პერიოდში, ჩინეთი და ოსმალეთის იმპერია 500 წლოვანი ტექნოლოგიური უძრაობის ეპოქაში შევიდა. განვითარება შეჩერდა, გაიყინა. ევროპაში კი მეცნიერების უპრეცედენტო აღმავლობა დაიწყო.

ჩინეთმა გაუგებარი მიზეზების გამო საკუთარი უძლიერესი ფლოტის განადგურება „მოახერხა“ და გაემიჯნა დანარჩენ მსოფლიოს — საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტა.

დაახლოებით ასევე მოხდა ოსმალეთის იმპერიაშიც. ის გაემიჯნა პროგრესს და რელიგიურ ფუნდამენტალიზმში ჩაიკეტა. მუსლიმანმა მეცნიერებმა ჭეშმარიტების ძიების ინტერპრეტირება დაიწყეს წმინდა რელიგიური აზრით, როგორც ეს ყურანშია გაწერილი. ყველა დანარჩენი ცოდნა მათთვის არაისლამური, ე.ი. არასწორი გახდა. მათ უარი თქვეს ზოგადად მეცნიერებაზე, მათემატიკაზე, მედიცინაზე და სხვა მოწინავე დარგებზე. ხელი მიჰყვეს ისლამის სწავლების დოგმატურ ახსნა-განმარტებას და გაუთავებელ მსჯელობას „ისლამური“ (განსაკუთრებული) იურისპუდენციის და მისი „ისლამური“ პრაქტიკის შესახებ. შედეგად, აქ დაირღვა რელიგიური ერთობა და წარმოიშვა მრავალრიცხოვანი მიმდინარეობები - სექტები, კულტები, სკოლები...

ევროპაში კი ამ დროს დიდი აღმავლობა იწყება. იბადება რევოლუციური (სოციალური და ტექნოლოგიური) იდეები, რაც გუტენბერგის საბეჭდი მანქანის წყალობით მასობრივად ვრცელდება.

ეკლესიის ძალაუფლება კი საზოგადოებაზე მისი ათასწლოვანი უპირობო გავლენის შემდეგ, თანდათან სუსტდება. უნივერსიტეტები ბიბლიის სწავლებიდან გამოყენებითი მეცნიერების — ფიზიკის, ქიმიის და სხვათა სწავლებაზე გადავიდნენ. მეცნიერება გახდა არა უბრალოდ გონების ინტელექტუალური სავარჯიშო, არამედ საშუალება — შეექმნათ ახალი ტიპის იარაღები და მიეგნოთ ახალი გზისთვის ფულის შოვნისა.

რა მოხდა? ღრმა, დოგმატური „სულიერებისგან“ თავდახსნილ ევროპაში მოხდა ახალი მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების დაბადება!

მსოფლიო ვერ იდგება სამუდამოდ ერთ ადგილზე მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც დაჟინებით კითხულობს მხოლოდ რელიგიურ ტექსტებს და მისი გონება მხოლოდ „სულიერებითაა“ დაკავებული. თუ ვიღაც მეცნიერების ახალ მიღწევებს არ დაეუფლება, მის მაგივრად ამას სხვა — მისი კონკურენტი გააკეთებს.

დაახლოებით ასეთია თანამედროვე მეცნიერთა, მათ შორის, მიჩიო კაკუს ლოგიკა.

ცხადია, ევროპის აღორძინება და ამ კონტინენტზე თანამედროვეობის უძლიერესი ცივილიზაციის შექმნა, ტექნოლოგიურის გარდა, სხვა — სოციალურმა და ეკონომიკურმა (სავაჭრო, საგზაო, სატრანსპორტო) ფაქტორებმაც განაპირობა. ასევე, მნიშვნელოვანია ქრისტიანული მსოფლმხედველობის ლიბერალური შინაარსის ფაქტორიც, რამაც ხელი შეუწყო დასავლურ სამყაროში უმნიშვნელოვანესი „სოციალური კაპიტალის“ დაგროვებას. მაგრამ, ფიზიკოსები ამ დიდ გარდასახვას განიხილავენ ოთხი ფუნდამენტური ურთიერთქმედების პრიზმაში, რაც მართავს მთელ სამყაროს. ეს ოთხი ძალა უდევს საფუძვლად ყველაფერს, რაც ჩვენს გარშემოა — მანქანებიდან და ბომბებიდან დაწყებული, ვარსკვლავების და მთელი სამყაროს ჩათვლით.

ეს ფუნდამენტური ურთიერთქმედების ოთხი ძირითადი ძალა ევროპაში იქნა აღმოჩენილი. ამ ძალების საიდუმლოთა დაუფლების გარეშე, ევროპა ვერასოდეს შეძლებდა მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე გასვლას.

თუ რა არის ეს გიგანტური ოთხი ძალა, დაინტერესებული მკითხველი მას ცნობილი ამერიკელი ფიზიკოსის, სამყაროს „ანატომიის“ შესახებ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორიის ავტორის — **მიჩიო კაკუს** წიგნებში გაეცნობა!!

ნუკრი მიხანაშვილი,
http://scisne.net/a-1110

ⓘ ინფორმაცია

ეროვნული არქივის კარი ყველასთვის ღიაა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის მომსახურებით 2015 წელს 85 000-მდე მოქალაქემ ისარგებლა. საისტორიო, უახლესი ისტორიის, კინოფოტოფონოდოკუმენტების, ქუთაისის ცენტრალური, ასევე, რეგიონული და ადგილობრივი არქივებიდან მოქალაქეებმა 83 500 საარქივო ცნობა მიიღეს, რაც 10 000-ით აღემატება 2014 წლის ანალოგიურ მონაცემს. ეროვნულ არქივში დაცული მასალებიდან მოქალაქეები, ძირითადად, ითხოვენ შემდეგ დოკუმენტებს: დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების ცნობა; რეპრესიისა და რეაბილიტაციის ცნობა; სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა; გენეალოგიური და ბიოგრაფიული ხასიათის ცნობა; ქონებრივი უფლების დამადასტურებელი ცნობა და სხვ.

გარდა ამისა, შარშან ცენტრალური არქივების მკვლევართა დარბაზებში 1725-მა მკვლევარმა იმუშავა, რომელთაგან 118 უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო. მათი კვლევის თემები იყო: ებრაელები საქართველოში; შუა აზიის ისტორია; საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921); რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII-XIX საუკუნეებში; პოლონელი თავადაზნაურობა; ქართული ეკლესია-მონასტრები; თბილისის ეკლესიების არქიტექტურა და სხვა.

ᲧᲝ-ᲘᲘᲩ-ᲘᲕᲝ

სფინქსი და ოიდიპოსი

ძველს გავატანოთ, რაც კოჰაბიტაციასავით დრომოჭმული და ხელისშემშლელია!

ჩვენი რადიკალური ოპოზიცია იქნებ სულაც არ გეგმავდა, მაგრამ 2016 მაინც მოვიდა, თანაც ისე, რომ არავისთვის არაფერი უკითხავს. ის კი არა, თავი მოიგიჟიანა და თბილისში საახალწლოდ ერთობ მომჭირნედ თოვლის პროვოკაციაც კი გადმოჰყარა (ამ მხრივ პერიფერიებს გაუმართლათ).

ხალხსაც რაღა დარჩენოდა და ტრადიციული შედლუხებით შეხვდა ყოველწლიურ აუცილებელ სტუმარს.

თორემ ოპოზიციის მიერ მთავრობის 3 წლის ანგარიშის ყოვლად სინდისგარეცხილი განქიქებისთვის რომ ეგდოთ ყური, უმრავლესობას და მის მხარდამჭერთ ახალი წლის შემობრძანების ზეიმი შეიძლება სულაც უკან შეებრუნებინა.

ერთი სიტყვით, ძველი წავიდა, ახალი მოვიდა. წავიდა პრემიერ-მინისტრის ყოვლად გაუგებარი და აუხსნელი დანაკარგით, ბოლომდე უკომპრომისო საპარლამენტო დედისტ...ნებით, მოვიდა არჩევნების ორმხრივი მუქარითა და მისი თანმხლები ჰაიჰუით.

„ოცნება“, ბუნებრივია, გამარჯვებას გეგმავს.

„ნაცებიც“ რატომღაც, გამარჯვებას გეგმავენ. იმედად გარეთ ოდესა ეგულებათ, შიგნით — ნიკა მელია და „რუსთავი-2“.

1920 წელს გამოშვებულ პირველ საბჭოთა ტანკს „თავისუფლებისათვის მებრძოლი ამხანაგი ლენინი“ ერქვა. ამის შემდეგ რა უნდა გაგიკვარდეს! თუმცა არანაკლებ საოცარი რამეებიც გვხვდება. მაგალითად ის, რომ გასული საუკუნის ბოლოს დუბლინის ცირკიდან... სპილო მოიპარეს და უკვალოდ გააქრეს...

2012 წლის არჩევნების იდეა ფიქსი ის იყო, გაიმარჯვებდა თუ არა ოცნების გუნდი და არა ის, თუ გაიმარჯვებდა, რამდენად წარმატებულად იმუშავებდა პარლამენტში. წლეულს რა იმედებს ვდებთ არჩევნებს?

უფრო მეტს, ბოლოს და ბოლოს, გადაიჭრება მარადიული კითხვა: დაბრუნდება პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი? (თითქოს როდესმე იყო იქიდან სადმე წასული!).

აქამდე ყველაფერი სამაგიეროს გადახდის პრინციპით ვიდოდა. მაგალითად, მიშა ბიძინას მოქალაქეობას არ აძლევდა, ბიძინამ მიშას მოქალაქეობა ჩამოართვა.

მაგრამ ასეთი ზოგადეროვნული მნიშვნელობის თემა ვითომ ერთადერთია საქართველოში?

წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: ჯაგარაშლილ სფინქსთან გაუბედავად მიდის ვინმე ყარიბი ოიდიპოს კვირიკაშვილი. სფინქსი მას შეკითხვებს აძლევს, რომელთა სწორად გადაწყვეტამაც ოიდიპოსს პრემიერ-მინისტრის კვერთხი უნდა მოაპოვებინოს.

სფინქსმა შეუბღვირა მის წინ მდგარ ჭაბუკს და ორი ურთულესი წინადადება გადმოაგდო:

— პრემიერ-მინისტრი უნდა დაესწროს თუ არა უშიშროების საბჭოს სხდომებს ავლაბარში?

— უნდა დარჩეს თუ არა საქართველოს პრეზიდენტი თავის ახლანდელ რეზიდენციაში?

ოიდიპოსმა იმარჯვა, გაითვალისწინა რა ამ საკითხების უდიდესი მნიშვნელობა სრულიად საქართველოსთვის.

ახალმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ამბიონზე პირველ შედგომისთანავე ალექსანდრე მაკედონელივით ხმლით გადაჭრა გორდიას კვანძი:

— პრემიერი სწორედაც უნდა დაესწროს უშიშროების საბჭოს სხდომებს თუ აქტიტნოტის ზღარბზე არ ზის.

მეორე შეკითხვის პასუხი უფრო რევოლუციურ-რადიკალური იყო:

— უნდა დავტოვოთ პრეზიდენტი პრეზიდენტის სასახლეში, ამაზე ლაპარაკიც აღარ ღირს: პრეზიდენტი იქ უნდა დარჩეს , საიდანაც ცოცხალი თავით არ გამოდის, ბოლოს და ბოლოს ამ შენობას დაბადებიდან დაჰყვა თიკუნად „პრეზიდენტის სასახლე“!

პრემიერობის კანდიდატად წამოყენების უმალ ამ ორი სფინქსისეული რებუსის პრინციპულად გადაწყვეტით კვირიკაშვილმა ისეთი სიმამაცე გამოიჩინა, როგორც ტარიელმა შამბნარში, როცა ლომი და ვეფხვი მიაწყო ერთმანეთს.

ოღონდ... ჯერჯერობით გამოკვეთილად არ გახმაურებულა ქოცების საშინაო პოლიტიკის ამ ორი დედაბოძის იავარქმნის რეზონანსი ყოფილ-ყოფილი პრემიერის გულში. ის კი სავარაუდოა, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი აღტაცებული არ დარჩებოდა ახალი კაცის ამ მოულოდნელი ბლიცკრიგით.

აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ წლევანდელ არჩევნებში გამარჯვების (რაც, ვფიქრობ, უეჭველია) შემდეგ პრემიერი მალე შეიჭმევა. მანამდე ალბათ, არა, მერე კი არც დაყნოსავენ, ისე შეახრამუნებენ.

ამას წყალი არ გაუვა.

ეს უეჭველია.

ამაში გვარწმუნებს მოვლენათა მსვლელობის აღმავალი ლოგიკა და განვითარების ქვეწარმავალი დიალექტიკა.

ოღონდ დიალექტიკის ეს ხაზი იმაშიც გვაკვალიანებს, რომ დანიის სამეფოში რაღაც წესრიგში არ არის!...

მაგრამ ეს ახალი წელიც ხომ იმიტომ მოვიდა, რომ ყველაფერი, რაც წესრიგში არ არის, რაც კოჰაბიტაციასავით დრომოჭმული და ხელისშემშლელია, ძველს გააყოლოს.

2016-მა ზღურბლს გადმოაბიჯა, ხურჯინიდან თავისი უფლება-მოვალეობების ნუსხა ამოიღო და ქვეყანას თვალი მოავლო.

ბედნიერი ყოფილიყოს მისი შემობრძანება!

ალეკო ასლანიშვილი.

რედაქციისგან:

ამ სტრიქონების ავტორს, ჩვენს სახელოვან კოლეგას, ქართული ჟურნალისტიკის ხარივით გამწევ ძალას, შესანიშნავი პუბლიცისტური და ისტორიული წიგნების ავტორს, დავით აღმაშენებლის, ნიკო ნიკოლაძისა და ჟურნალისტთა საერთაშორისო „ოქროს ფრთის“ პრემიების ლაურეატს, ღირსების ორდენის ღირსეულ კავალერს, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქვეყნის მთავარი და ყველაზე სერიოზული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს, უკეთილშობილეს, უპატიოსნეს, უპრეტენზიო პიროვნებას, ზუსტად 1 იანვარს 75 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ, გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ და კვლავაც ქართული სიტყვის ამაყი და ძლიერი საქართველოს ისტორიისადმი (ის პროფესიით ისტორიკოსია) ჩვეულ მსახურებას ვუსურვებთ!

მხნედ და შეურყევლად, ძვირფასო მეგობარო!

◎ იმერ-ამერი

ახალი წელია, მაგრამ ამას დამალვა არ ეგების

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2015 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, 14.4 მლრდ აშშ დოლარი (34.2 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტალის მშპ-ს 97.2 პროცენტია; 2015 წლის მესამე კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 114.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, აქედან ვალი ოპერაციული ცვლილებების გამო 145.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 5.9 მლრდ აშშ დოლარი (14.0 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 39.8 პროცენტია, რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 4.3 მლრდ აშშ დოლარი (10.2 მლრდ ლარი; მშპ-ს 28.9 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალდებულებები — 225.9 მლნ აშშ დოლარი (538.0 მლნ ლარი; მშპ-ს 1.5 პროცენტი), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები შესაბამისად — 769.2 მლნ აშშ დოლარი (1.8 მლრდ ლარი; მშპ-ს 5.2 პროცენტი) და 615.7 მლნ აშშ დოლარი (1.5 მლრდ ლარი; მშპ-ს 4.2 პროცენტი).

საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 2.8 მლრდ აშშ დოლარი (6.6 მლრდ ლარი; მშპ-ს 18.9 პროცენტი), სხვა სექტორების საგარეო ვალმა — 4.1 მლრდ აშშ დოლარი (9.8 მლრდ ლარი; მშპ-ს 27.8 პროცენტი) და კომპანიათაშორისო ვალმა — 3.0 მლრდ აშშ დოლარი (7.1 მლრდ ლარი; მშპ-ს 20.1 პროცენტი). მთლიანი საგარეო ვალის 95.2 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით.

საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა, 2015 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, 9.1 მლრდ აშშ დოლარი (21.6 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტალის მშპ-ს 61.4 პროცენტია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 3.4 მლრდ აშშ დოლარია (8.0 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 22.9 პროცენტია.

თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე გადასახადი გაიზარდა

2016 წლის 1 იანვრიდან თამბაქოს პროდუქციასა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთი გაიზარდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებით 2016 წლის 1 იანვრიდან აქციზის ფიქსირებული განაკვეთი გაიზარდა:

- **ფილტრიან სიგარეტზე (20 ღერზე) — 0,20 ლარის ოდენობით;**
- **უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) — 0,05 ლარის ოდენობით;**
- **სიგარებზე ერთ ღერზე და სიგარალებზე 20 ღერზე — 0.4 ლარით;**
- **ყალიონით მოსაწევ და საღეჭ ან საყნოს თამბაქოზე 1 კგ-ზე — 5 ლარით.**
- **ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) აქციზის პროპორციული განაკვეთი იზრდება 5 დან 10 პროცენტამდე.**
- **ასევე 2016 წლის 1 იანვრიდან ვისკიზე, რომზე და ტაფიაზე, ჯინისა და ღვინის ნაყენზე აქციზის განაკვეთის 10 ლარიდან 15 ლარამდე, ხოლო სხვა ალკოჰოლურ სასმელებზე და ეთილის სპირტზე (გარდა, ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით მიღებული სპირტის ნაყენებისა, ლიქიორებისა და ზოგიერთი სხვა დაბალ ალკოჰოლური სასმელისა), აქციზის განაკვეთი გაიზარდა — 10 ლარამდე.**

მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონი ძალაში შევიდა

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 1582 დასახლებას მაღამთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა. 2016 წლის 1 იანვრიდან მიღებული კანონი ძალაში შევიდა.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი დასახლების ნუსხაში შეტანიდან 10 წლის განმავლობაში არ გადაიხედება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონის თანახმად, მაღალმთიან დასახლებად ითვლება დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, სხვადასხვა კრიტერიუმის (მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებული მიგრაციული პროცესები) გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. გამონაკლის შემთხვევაში, ამ პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი შეიძლება ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე ქვევით მდებარე დასახლებასაც მიენიჭოს.

ზღვის დონიდან შესაბამის სიმაღლეზე მდებარეობის მიუხედავად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭებათ საქართველოს შემდეგ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში მდებარე დასახლებებს: ხევი, მთიულეთი, პანკისის ხეობა, მაღალმთიანი აჭარა, გუდამაყრის ხეობა, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა.

საბურთალოელები ახალ წელს ახალი სკვერებით შეხვდნენ

საბურთალოს რაიონის გამგეობამ ჩიქოვანის №30, 34 და 36 კორპუსებში ახალი სკვერების მოწყობა დაასრულა. ობიექტები თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საბურთალოს რაიონის გამგებელ ბექა მიქაუტაძესა და საბურთალოს მაჟორიტარ დეპუტატ დავით ზურაბიშვილთან ერთად დაათვალიერა.

ახალ სკვერებში მოპირკეთდა სასეირნო ბილიკები, დაიდგა ადგილობრივი წარმოების, ეკოლოგიურად სუფთა მასალისაგან დამზადებული საპარკო ინვენტარი, სკამები, საქანელები და სანაგვე ურნები; მოეწყო დეკორატიული განათების სისტემები. აღნიშნული ტერიტორია საბურთალოს რაიონის ის ნაწილია, რომელიც 13 ივნისის სტიქიამ ყველაზე მეტად დააზარალა. აღსანიშნავია, რომ პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა ტერიტორიის ლანდშაფტი და დენდროლოგია, რის მიხედვითაც განისაზღვრა ტერიტორიის გამწვანების დეტალები. პარკებში დამონტაჟებულია ავტომატური მორწყვის სისტემა. ამ კორპუსებში, სარდაფის ტიპის ბინებში მცხოვრებმა მოსახლეობამ უკვე მიიღო მერიისაგან კომპენსაცია, არსებული ფართები კი სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა.

სკვერების კეთილმოწყობის პროექტის ფარგლებში, საბურთალოს რაიონის გამგეობამ უზრუნველყო ასევე №36 კორპუსის დაზიანებული ფასადის რეაბილიტაცია. აღსანიშნავია, ასევე, ის ფაქტი, რომ სკვერების მოწყობამდე, სამივე კორპუსში ჩატარდა გაწმენდითი სამუშაოები, მოეწყო სადრენაჟე სისტემები, რომელიც უზრუნველყოფს გრუნტის წყლების შეკრებას და გატარებას მდინარე ვერეს ხეობაში. საპროექტო სამუშაოები კომპანია „დიზაინ გრუპმა“ შეასრულა, სკვერების მოწყობაზე კი კომპანია „ჯეოპარკმა“ იმუშავა.

ზაფხულში — ღელვის ნახარში, ზამთარში — პიროტექნიკა

2015 წლის დეკემბრიდან დღემდე სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის დამწვრობის ცენტრს პიროტექნიკის აფეთქების შედეგად დაშავებულმა 32-მა პირმა მიმართა. როგორც ამავე ცენტრის ხელმძღვანელმა გუგა ქაშიბაძემ განაცხადა, აქედან ერთს, 4 წლის ბავშვს, სტაციონარული, დანარჩენებს კი ამბულატორიული მკურნალობა დასჭირდათ. გუგა ქაშიბაძის თქმით, დაზიანებათა დაახლოებით 40 პროცენტი მარჯვენა მტევანზე, დაახლოებით 17-17 პროცენტი კი სახესა და მარცხენა მტევანზე მოდის. რამდენიმე პაციენტს ჭრილობებზე ნაკერების დადებაც დასჭირდა. დაშავებულები, ძირითადად, ბავშვები არიან, რომელთაც საახალწლო ასაფეთქებელი საშუალებები წესების დარღვევით გამოიყენეს.

„ესენია ტრავმები, რომელთა თავიდან აცილებაც თავისუფლად შეიძლებოდა. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებულმა 32-მა პაციენტმა მხოლოდ ჩვენს კლინიკას მომართა. ცხადია, დაშავებულთა ნაწილი სხვა კლინიკებსაც მიაკითხავდა. გარდა ამისა, ამგვარი შემთხვევები იანვრის ბოლომდე გრძელდება ხოლმე, ამიტომ სრული სტატისტიკა ჯერჯერობით არ არსებობს. სამწუხაროდ, ჩვენი არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, პიროტექნიკის აფეთქების შედეგად სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანების ფაქტები კვლავაც ვლინდება. ამის თავიდან ასაცილებლად კი მშობლებს მეტი სიფრთხილისა და ყურადღების გამოჩენა მართებთ“, — აღნიშნა გუგა ქაშიბაძემ.

◎ სიცხადის ფანტაზია

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე

მეტად უცნაურად დაიწყო საქართველოში 2016 წელი. 1 იანვრის ზუსტად 01 წუთზე თბილისის თავზე მდგარმა ქართვლის დედამ სახე იცვალა და ღვთისმშობელ მარიამად იქცა, მახვილი და თასი იქვე გვერდით დადო, პირჯვარი გადაიწერა ზუსტად ისე, როგორც ჩვენ ამას ვაკეთებთ, მაღლა ასწია ხელები, შემდეგ ქალაქისაკენ გამოიშვირა და თქვა:

— ჩემო წილხვედრო ქვეყანავ და ქართველო ხალხო, თითქოს ეს უჩვეულოა, მაგრამ მინდა ბოდიში მოვიხადო თქვენს წინაშე. თქვენ ჩემი წილხვედრი ხართ, მაგრამ, ვაღიარებ გულახდილად: ბოლო ხანებში ყურადღება მოგაკელით. ბევრ უბედურებასა და გაჭირვებას გადაეყარეთ. მეტი იმედი მქონდა თქვენი — არ გამოვიდა. და, აი, დადგა დრო, როდესაც, მცირეოდენი ბოდიშის მოხდით, კვლავ გვერდში ამოგიდგეთ, რომ კვლავ აღმოჩნდეთ აყვავებული, წარმატებული, გამორჩეული მთელ დედამიწაზე. ვიცი თქვენი დიდი იმედიანობა და უნდა შევძლო, რომ იმედები აგისრულოთ. აგისრულოთ მთლიანად და წარმატებით. ამ წლიდან მხოლოდ აღმავლობით ივლის საქართველო — ამის გარანტიას ვიძლევი მე. რასაკვირველია, თქვენი თანადგომით.

ღვთისმშობელმა მარიამმა კვლავ მაღლა აღაპყრო ხელები და წარმოთქვა:

— გაიხსენ, ტაო. გამოდი, ჩემო ვარსკვლავო და გაბრწყინდი ჩემი წილხვედრი ქვეყნის თავზე.

უეცრად, მართლაც გაიხსნა ცა, იქიდან გამობრწყინდა უზარმაზარი ვარსკვავი, რომელიც ლამის მზესავით ანათებდა.

— ამიერიდან — აწ და მარადის — იყავ, ვარსკვლავო, საქართველოს თავზე, იბრწყინე და გააბრწყინე ისიც.

შემდეგ წმინდა მარიამმა კიდევ ერთხელ დალოცა თავისი წილხვედრი ქვეყანა და დაურთო:

— შენ გაბრწყინდები, როგორც არასდროს. სიკეთე, სამართლიანობა და ბედნიერება იქნება შენს გვერდით, ყველა და ყოველივე სამართლიანობა იზეიმებს მუდამ. და მეც მუდამ მიგულე შენს გვერდით. გპირდები სამარადისო ბედნიერებასა და მზარდ აღმავლობას ამ ახალი წლიდან.

წმინდა მარიამს მრავალი უსმენდა იმ დღეს.

ანალოგიური სიტუაცია მოხდა იმ დღეს ერთდროულად საქართველოს ყველა ქალაქში, რაიონსა და სოფელში.

და კიდევ არანაკლები სასწაული იყო ის, რომ ღვთისმშობელი მარიამი საქართველოს ყველა ოჯახში იყო ახალწლის იმ ღამით. დალოცა ისინი, ჩაუსახა ურყევი იმედები სამართლიანობისა და კეთილშობილი შრომის გზაზე.

და კიდევ უფრო მოულოდნელი და საისახარულო იყო ის სასწაული, რაც ამ სტუმრობას მოჰყვა:

ყველა ოჯახმა დილით აღმოაჩინა ღვთისმშობლის უწმინდესი ხატი, რომელიც თავად წმინდა მარიამს დაეტოვებინა მათთვის წარწერით:

„გილოცავთ ახალ 2016 წელს. ყველას გისურვებთ წარმატებას, დიდი იმედისა და კეთილშობილი მიზნების განხორციელებაში ამ წელსა და ყველა მომდევნო აღმავლობის წელს. მიგულეთ მარადის თქვენს გვერდით!

ამინ!“

ზურაბ ლომიძე

◎ წერტილოვანი ფრაზები

მოწევა კი არა, ფასები კლავს, ფასები!..

● „იმედზე“ ლელა წურწუმია „რუსთავი-2“ ისედაც იასნია, მაესტრო ყველამ ვიცით, საზმაუწყებელი ხო მთლად ისინი არიან...

უკაცრავად, მარა მაგარი მთვრალი ვარ, თუ 2011 წელია?

● NDI-ის კვლევების მიხედვით წელს 41 სადღეგრძელო დალია მოსახლეობის 5%-მა, 5 სადღეგრძელო 41%-მა...

● კაზანტიპის მთელი ბიზნეს-ელიტა თბილისშია ჩამოსული.

● ვცვლი ერთ თეფშ საციავს+ვინეგრეტი, ერთ ნაჭერ „ყიყლიყოში“.

გილოცავთ ბედობას.

● მოკლედ, ხალხო, ფილიპ მორისმა შეიცვალა თურმე დისტრიბუტორი და აღარ შემოიტანეს დიდი ხანია ეს თქვენი „პარლამენტი“, ჰოდა, რაც ჰქონდათ მაღაზიებს შემორჩენილი, ადგნენ და დაადეს ეს ფასი!

● თუ რამე ხეირიანი ვნახე ამ დღეებში ტელევიზორში, ოკუპანტ ქვეყანაში გადაღებული ფილმები იყო.

ნიჭიერი, გემოვნებიანი, სევდანარევი იუმორით და სიკეთით სავსე.

● ვინმე მიშა ანდღულაძე, მუხრან მაჭავარიანის გაშარჟებას რომ დაიწყებს, მაშინ უკვე ძალიან ცუდადაა საქმე და არა მხოლოდ „ რუსთავი-2“-ში!

● არ ვიცოდი თუ კუჭის მოქმედებაზე და ბუასილზე საუბარი, სადღესასწაულო და გასართობ ჟანრს მიეკუთვნებოდა.

● მოწევა კი არა და ფასები კლავს, ფ ა ს ე ბ ი!!!

2 იანვრის 01:05-ისთვის ისევ 3500 აბონენტია გამორთული. ფიზიკური მიზეზი??? — ნუ იტყვით და თოვლი მოსულაა.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. იანვარში თოვლი აბა არ უნდა მოვიდეს? ალბათ „ენერგო პრო ჯორჯია“ ახალ წელს თოვლს საერთოდ არ ელოდებოდა.

არ იციან, რომ დამპალი ბოძები და სადენები, რომელთა მოვლა-პატრონობის და ზამთრისთვის მომზადების პირდაპირი ვალდებულება გააჩნიათ, პრობლემებს შექმნიან თუ დროზე არ მიხედე? ტარიფების მომატებაზე ხომ იზრუნეთ, ამ დროს გამრიცხველიანებასაც კი ვერ ახერხებთ.

ერთ თეთრს ერთი დღით არავის პატიობთ და გინდათ თქვენმა აბონენტებმა გაპატიოთ ასეთი უპასუხისმგებლობა!

არც კი იფიქროს ვინმემ თქვენი გამოქომაგება „ენერგო პრო ჯორჯია“!

მე მეგობრად ვთვლიდი და დავრეკე, სტატუსით საკრებულოს დეპუტატია, დეკლარაციით მილიონერი, მარა ტელეფონში იმდენი იტირა, სევდა მომგვარა და გავრეკე!

● საბავშვო ბაღის ბავშვებს უსაჩუქროდ რო დატოვებს ახალ წელს — უი ტენდერის გამოცხადება თავიდან ამომივარდაო, იმ ჩინოვნიკს მარტო სამსახურიდან გათავისუფლება არ უშველის, უნდა დაიჭირო სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით და სხვებს აღარ ამოუვარდებათ თავიდან რაღაცები მერე.

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ინფორმაცია

თურმე „ენერგო პრო ჯორჯია“ ზამთარში თოვლს არ ელოდება!

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი **ზვიად კვაჭანტირაძე** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ახალ წელს, დენის გათიშვის გამო „ენერგო პრო ჯორჯიას“ უპირისპირდება და ირაკლი მეძმარიაშვილის გაფრთხილებას იხსენებს, რომლითაც მან ჯერ კიდევ ოქტომბერში საქართველოს მთავრობას მიმართა. კვაჭანტირაძე აცხადებს, რომ „ენერგო პრო ჯორჯიას“ გამოქომაგება არავინ გაბედოს და კომპანიას ჰპირდება, რომ პასუხს მოსთხოვს მთელი სიმკაცრით.

„ფოტოები საახალწლო ოზურგეთიდან გულს მიხალისებს და მიუხედავად ამდენი სილამაზისა, მიუხედავად ამხელა სამზადისისა ქალაქში თუ სოფლებში, ასობით აბონენტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (ძირითადად სოფლებში) უშუქოდ შეხვდა ახალ წელს. წარმოიდგინეთ? მესმის, დღეს ამის წარმოდგენა ძნელია, მაგრამ ფაქტია. მართალია, ამ გაფუჭებულ საქმეზე მაქსიმალურად მოიკრიბეს ძალები და 70 %-ის აღდგენა მოხერხდა 12 საათამდე, მაგრამ ანუ , 2 იანვრის 01:05-ისთვის ისევ 3500 აბონენტი იყო გამორთული. ფიზიკური მიზეზი??? — ნუ იტყვით და თოვლი მოსულაააა.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. დეკემბერში თოვლი აბა არ უნდა მოვიდეს???? ალბათ „ენერგო პრო ჯორჯია“ ახალ წელს თოვლს საერთოდ არ ელოდებოდა. ჯერ კიდევ ოქტომბრის პირველ რიცხვებში ერთი ძალიან გამოცდილი კაცი ირაკლი მეძმარიაშვილი გვაფრთხილებდა ყველას, მოემზადეთ ზამთრის სეზონისთვისო. ყველას დავუგზავნე მაშინ ეს გაფრთხილება. ეტყობა, ენერგო პრო ჯორჯიაში არც უნახავთ. ან ჩემი გაფრთხილება რად უნდათ, რა, თავად არ იციან, რომ დამპალი ბოძები და სადენები , რომელთა მოვლა-პატრონობის და ზამთრისთვის მომზადების პირდაპირი ვალდებულება გააჩნიათ, პრობლემებს შექმნიან თუ დროზე არ მიხედე? ტარიფების მომატებაზე ხომ იზრუნეთ, ამ დროს გამრიცხველიანებასაც კი ვერ ახერხებთ.!!! ერთ თეთრს ერთი დღით არავის პატიობთ და გინდათ თქვენმა აბონენტებმა გაპატიოთ ასეთი უპასუხისმგებლობა! 2 ღამეა ოზურგეთში მთელი ხელმძღვანელობა ფეხზე დგას, საკუთარ ოჯახებშიც არ მისულან, ხან ერთი ხაზის რემონტზე არიან, ხან მეორესი და ასობით საყვედურის მოსმენა უწევთ. რატომ, თორემ კი???? არ გაფრთხილებდნენ, არ გთხოვდნენ დროზე მიგელოთ ზომები და ზამთრისთვის სარემონტოები ბოლომდე მიგეყვანათ? ხვალ 15 ბრიგადას აგზავნიან ოზურგეთში. აქამდე რომ გეზრუნათ, არც ამ ბრიგადებს გაუმწარებდით ახალი წლის დღესასწაულებს.

არც კი იფიქროს ვინმემ თქვენი გამოქომაგება „ენერგო პრო ჯორჯია“ !!!

რაც თქვენ ეს ორი დღეა თქვენი უპასუხისმგებლობით ხალხს და ჩვენს ხელისუფლებას გვავნეთ, ამას ასე მარტივად არ გადაგატანინებთ. პასუხს მოგთხოვთ მთელი სიმკაცრით!

P. S. ამ სტატუსის ადრესატი მხოლოდ „ენერგო პრო ჯორჯიაა“ და ჟურნალისტები და სააგენტოები კუდებს ნუ გამოაბამთ. ჩვენ, ხელისუფლებაში ყველას ერთნაირი საზრუნავი გვაქვს და ერთმანეთს ყოველთვის გვერდში დავუდგებით პრობლემების მოსაგვარებლად“, — წერს ზვიად კვაჭანტირაძე.

ყინვა უკან იხევს

საქართველოში ტემპერატურა მოიმატებს, — ამის შესახებ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურში განაცხადეს. მათივე ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით ნალექიანი ამინდი ნარჩუნდება, თუმცა ყინვები შესუსტდება.

„დასავლეთ საქართველოში, დაბლობში, ნალექი წვიმის სახით, აღმოსავლეთში წვიმა, ზოგან თოვლი და თოვლჭყაპია მოსალოდნელი. ტემპერატურა მოიმატებს. ყინვა თანდათან შესუსტდება“, — აცხადებენ ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურში.

ტურისტებმა დეკემბერშიც გაგვახარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, 2015 წლის დეკემბრის თვე 465 962 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2014 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 7%-ით მეტია.

ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი — 155 048 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 33,3%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 6,2%);

ბ) ტრანზიტი — 89 141 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 19,1%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 2,2%);

გ) სხვა — 221 773 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 47,6%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 9,6%).

2015 წლის დეკემბერშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ სომხეთიდან (+3,8%), თურქეთიდან (+1,8%), აზერბაიჯანიდან (+4,6%), რუსეთიდან (+13,3%) და უკრაინიდან (+10,3%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-დეკემბერშიც გამოირჩნენ იტალია, ლიტვა, ლატვია და გერმანია (შესაბამისად 15%, 13%, 13%, და 10%), შუა აზიის ქვეყნებიდან — ყაზახეთი (29%), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან — ბელორუსია (51%), ახლო აღმოსავლეთიდან — ისრაელი (40%), ხოლო აზიის ქვეყნებიდან — არაბათა გაერთიანებული საემიროები — 675% და საუდის არაბეთი — 80%-იანი მატებით. აქვე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 10%-იანი ზრდა.

რა თქმა უნდა, ბლეფია, მაგრამ ჭრის!

რუსული ულტიმატუმი აფხაზეთს: ან ჩვენ, ან თურქეთი!

აფხაზეთში ისევე მოთოვა, როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში. აფხაზი ბლოგერები წერენ: „ომის შემდეგ ასეთი თოვლი არ მოსულაო“. რა თქმა უნდა, 1992-1993 წლების ზამთარს გულისხმობენ. ქართველ დამკვირვებლებს რაღაცნაირად გამორჩათ ეს უცნაურობა: ის ზამთარი აფხაზეთში მართლაც უცნაურად დიდთოვლიანი იყო. როგორც არასდროს მანამდე და მას შემდეგ 20-25 წლის განმავლობაში.

ეს ცნობილი აფხაზური ნარატივია: მათთვის ცხოვრება გაიყო „ომამდე და ომის შემდეგ“. თუმცა, სწორედ საახალწლო დღეებში, რუსეთმა ახალი სიურპრიზი მოუმზადათ: სოხუმში ჩავიდა პრეზიდენტ პუტინის თანაშემწე აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ საკითხებში, ვლადისლავ სურკოვი და სეპარატისტული რეჟიმის ლიდერებს ულტიმატუმი წაუყენა, რომელიც თურქეთთან ურთიერთობას ეხება.

მოსკოვში დიდი ხანია, გაღიზიანებით აკვირდებოდნენ თურქულ-აფხაზურ კავშირებს. წესით, ეს ურთიერთობები, რომლებიც სულ უფრო ღრმავდება, თბილისშიც უნდა აღელვებდეთ, თუმცა ქართული დიპლომატია, ამ შემთხვევაში პრაგმატულობას ირჩევს, რაკი ანკარა არ ცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, ხოლო თურქეთში მცხოვრები აფხაზური დიასპორის აქტიურობა არ უნდა იქცეს მთავარ სავაჭრო და სატრანსპორტო პარტნიორთან ურთიერთობათა დევალვაციის მიზეზად.

სულ სხვაგვარად ფიქრობენ მოსკოვში, რაკი ჩრდილოკავკასიური პრობლემა კვლავაც გადაუწყვეტელი აქვთ, „ჩერქეზული ბომბი“ წიკწიკებს და ნამდვილად არ ეპიტნავებათ, შავი ზღის სანაპიროზე თურქული „რბილი ძალის“ შემოსვლა, შემდეგ კი მისი თანდათანობით მოღონიერება სავაჭრო, საინფორმაციო, კულტურული თუ სხვა საშუალებებით.

ამდენად, სურკოვმა გადაწყვიტა ესარგებლა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში წარმოშობილი ღია კონფრონტაციით და ამ საბაბით (!) მოეთხოვა სოხუმისთვის ლოიალობის დადასტურება. თან არა მხოლოდ დადასტურება, არამედ კონკრეტული, საკმაოდ მტკივნეული ნაბიჯების გადადგმაც.

* * *

აფხაზი ბლოგერები ყოველთვის ღიზიანდებიან, როცა ინტერნეტ-ფეისბუქ-ბატალიების დროს თანამედროვე აფხაზეთს „მოსკოვის მარიონეტულ წარმონაქმნს“ ვუწოდებთ. სეპარატისტული ხელისუფლება რომ ღიზიანდება, გასაგებია, მაგრამ ბლოგერთა მუდმივი აღშფოთება უფრო ნიშანდობლივია, რადგან გულწრფელია: თითქოს ვერ ამჩნევენ აშკარა ფაქტებს, რომელიც ამ მარიონეტობას ადასტურებს.

აი, მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ, აფხაზეთის საზღვაო სანაოსნომ და მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება, აუკრძალონ თურქულ სეინერებს აფხაზურ წყლებში თევზის ჭერა. მიზეზი არ დაუსახელებიათ ან კი რა მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო გარდა მოსკოვის ფარული ბრძანებისა? თურქული თევზსაჭერი გემები, ხშირ შემთხვევაში, აფხაზ მოჰაჯირთა შთამომავლებს ეკუთვნოდათ. თევზჭერით გვარიანი თანხა შედიოდა აფხაზეთის ბიუჯეტში, რომელიც 90%-ით რუსულ გრანტებზეა დამოკიდებული. მაგრამ კრემლში ესეც მეტისმეტ დამოუკიდებლობად მიიჩნიეს. ამიტომ უბრძანეს და... მაშინვე აიკრძალა თურქული გემების შესვლა აფხაზეთის წყლებში. ამ ზონას რუსული სამხედრო გემები იცავენ. სოხუმი თუ გაჯიუტდებოდა, უბრალოდ არ შეუშვებდნენ იქ იმ გემებს, მორჩა და გათავდა!

ამიტომაც, აფხაზეთის მთავრობამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, რაც მათი „დამოუკიდებლობის“ დონეზე მეტყველებს. იმავდროულად, აფხაზეთის პრეზიდენტმა ხაჯიმბამ „მონამორჩილი“ განცხადება გააკეთა თურქული ავიაგამანადგურებლის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების გამო და ეს „აგრესიული აქტი მკაცრად დაგმო“.

იგივე აფხაზი ბლოგერები სასაცილოდ იმართლებდნენ თავს „დამოუკიდებლობის“ თაობაზე დისკურსში: „თურქეთი“ ხომ არ უხსენებია განცხადებაშიო“. ვითომ უცნობია, ვინ ჩამოაგდო თვითმფრინავი და ვერავინ ვერ მიხვდებოდა.

ერთი სიტყვით, შავ დღეში არიან და აქვე უნდა ითქვას, რომ თურქეთსა და რუსეთს შორის ღია კონფრონტაციამ დაარღვია მათი სიამტკბილობა აფხაზეთთან დაკავშირებით, რაც ნამდვილად შეესაბამება საქართველოს ინტერესებს. ყველაფერთან ერთად, აფხაზურ მხარესაც მოესპო ორმაგი თამაშის საშუალება, რაკი მოსკოვმა, სურკოვის პირით, მკაცრი ულტიმატუმი წაუყენა: „ან ჩვენ, ან თურქეთი!“

უფრო ზუსტად, სეპარატისტებს არჩევანიც კი არა აქვთ, რადგან აფხაზეთში თურქეთის ბოლოდროინდელი „შემოპარვის“ მიუხედავად, რუსეთის გავლენა და რუსეთზე დამოკიდებულება შეუდარებლად დიდია.

* * *

პრეზიდენტ ხაჯიმბასთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე, სურკოვმა კონკრეტული მაგალითი მოიყვანა: „ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ თურქული სამშენებლო კომპანიები, რუსული ფულით აქ ვეღარაფერს ააშენებენო“.

რუსულ-თურქულ კონფრონტაციამდე, ესე იგი ხსენებული „სიამტკბილობის“ დროს, მოსკოვი კიდევ ითმენდა სიტუაციას, როდესაც იგი აფხაზურ ბიუჯეტს 90%-ით ავსებდა, ხოლო აფხაზეთის ხელისუფლებას თურქული კომპანიები შემოჰყავდა ამ თანხების ასათვისებლად, ესე იგი აფხაზეთში სხვადასხვა ობიექტების ასაშენებლად.

ბუნებრივია, მოსკოვი მოითხოვს, მხოლოდ რუსულმა კომპანიებმა ააშენონ. მაგრამ ამ განცხადებაში კიდევ ერთი საინტერესო მომენტია: აფხაზური მთავრობა ადრე ამტკიცებდა, რომ თურქულ კომპანიებთან კონტრაქტებს მხოლოდ იმ 10%-ით აფორმებდა, რომლებიც რუსეთისგან დამოუკიდებლად მოიზიდა. მათ შორის თხილის ექსპორტის დაბეგვრით და ასე შემდეგ. მაგრამ მოსკოვში ამგვარ ლოგიკას აბსურდულს უწოდებენ: ჯერ ერთი, ის 90% რომ არა, არც დანარჩენი იქნებოდა და, რაც მთავარია, საკმარისია რუსეთმა დახუროს რუსული ბაზარი აფხაზური პროდუქციისთვის (ციტრუსი, ჩაი, მინერალური წყალი, ბოსტნეული...) და საერთოდ ყველაფერი დამთავრდება.

ამდენად, სურკოვის მოთხოვნაზე, ხაჯიმბა აგრეთვე „მონამორჩილად“ უპასუხებდა. თუმცა ეს არ ყოფილა ვლადისლავის ერთადერთი პრეტენზია: იგი მოითხოვს, აფხაზურმა ხელისუფლებამ სასწრაფოდ მიიღოს კანონი „უძრავი ქონების თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის შესახებ“, რათა მისი შესყიდვა რუსეთის მოქალაქეებმა შეძლონ.

საუბარია 40-50 ათას ბინასა და სახლზე, რომელიც ადრე ქართველებს ეკუთვნოდათ. ეთნიკური წმენდის ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, ეს ქონება თურქეთში მცხოვრებ აფხაზურ დიასპორას უნდა შეეძინა, მაგრამ ისინი არ ყიდულობენ, რაც თავისთავად საინტერესო მომენტია. ამით დასტურდება, რომ არ სურთ რუსეთის მონამორჩილ აფხაზეთში დასახლება, რომელსაც თავისუფალი განვითარების არანაირი პერსპექტივა არა აქვს.

სეპარატისტული ხელისუფლება, ბოლო დრომდე, თავს იმით იმართლებდა (მოსკოვის წინაშე), რომ რუსეთის მოქალაქე ქართველების მიერ ბინების შესყიდვის ეშინოდა: აქაოდა, ბიძინა ივანიშვილი ლტოლვილებს დაჰპირდა, მილიარდს დავხარჯავ და თქვენსავე ბინებს უკან გამოვისყიდიო. თუმცა ამგვარი დაპირება არავის მოუსმენია. გარდა ამისა, ეთნიკური ქართველები არც ჩავლენ და, მით უმეტეს, აღარც ბინებს იყიდიან ქართველოფობიურ აფხაზეთში.

ანუ მთავარი მიზეზი სწორედ ისაა, რომ რუსების მასიური ჩამოსახლება არ სურთ — ბინები და სახლები აფხაზეთში ბევრად იაფია, ვიდრე მეზობელ კრასნოდარში და სოჭში, ამიტომ მსურველი უამრავი იქნება.

* * *

სურკოვმა იცის, სინამდვილეში, რა მიზეზითაც ამბობენ უარს აფხაზები კანონის მიღებაზე უძრავი ქონების ბრუნვის შესახებ. ამდენად, მისი ულტმატუმი აქაც მკაცრი იყო: „გასულ წელს აფხაზეთის ბიუჯეტში საინვესტიციო თანხების გადმორიცხვა შევწყვიტეთ; თუ უახლოეს მომავალში არ მიიღებთ კანონს, მაშინ პენსიებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკთა ხელფასებისთვის განკუთვნილ ფულსაც ვეღარ მიიღებთ; ბოლოს კი საზღვარსაც დაგიკეტავთ, ხოლო ჩვენს ჯარებს გუდაუთის აეროპორტით, ესე იგი საჰაერო ხიდით მოვამარაგებთ“.

ულტიმატუმი მძიმეა, რადგან ამ კანონის მიღება აფხაზეთში მორიგ დაპირისპირებას გამოიწვევს და, არ არის გამორიცხული, საქმე სამოქალაქო ომამდე მივიდეს. თუმცა გამოსავალიც არ ჩანს. თუ, რასაკვირველია, არ ჩავთვლით საქართველოსთან შესაძლო მოლაპარაკებით მოსკოვის „დაშანტაჟების“ მცდელობას.

ამ ხრიკისათვის აფხაზ სეპარატისტებს ადრეც არაერთხელ მიუმართავთ, როდესაც მოსკოვთან პირდაპირ კომპრომისს ვერ აღწევდნენ: „თუ მეტისმეტად მოგვაწვებით, აგერ არის თბილისი, ხოლო ქართველები, თუნდაც სიმბოლური მოლაპარაკების ნაცვლად, ბევრ რამეზე წამოვლენ, რუსული საზოგადოება კი ხელისუფლებას დაგადანაშაულებთ, რომ აფხაზეთს საქართველოსკენ უბიძგეთ“.

რა თქმა უნდა ბლეფია, მაგრამ ჭრის. პირველ რიგში ჭრის იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მუდმივად იყვნენ და ახლაც არიან მეტისმეტად გულუბრყვილო პერსონაჟები, რომლებიც ამ პრიმიტიულ ბლეფზე იოლად „ვარდებიან“.

გელა კალანდაძე

◎ ფრთხილად!

ამერიკა და ევროკავშირიც შეშფოთებულია

გაუგებარია, რაზომ მისცეს თურქეთის მოქალაქეებს საქართველოს მოქალაქეობა

პერიოდულად გვესმის ხოლმე, რომ „დროულად უნდა შევაჩეროთ აჭარის თურქეთიზაციის პროცესი“.

სააკაშვილმა ათასობით თურქს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა და ეს მაშინ, როცა რუსეთში მცხოვრებ ქართველებს არ აძლევდა ორმაგ მოქალაქეობას. ამიტომ საინტერესოა, უნდა დაიწყოს თუ არა აჭარაში თურქებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცესის შეჩერება, რათა რამდენიმე წელიწადში აჭარაში ეთნიკურ უმცირესობად არ ვიქცეთ!?

საქართველო-თურქეთის ახალგაზრდა თურქოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე რომან კვიციანი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ არ ფლობს ინფორმაციას, ნამდვილად ყიდულობენ თუ არა თურქები მიწებს აჭარის მაღალმთიან რეგიონებში, მაგრამ თურქიზაციის პროცესი დიდი ხანია, გრძელდება.

რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცესის შეჩერებას თურქებისთვის, ექსპერტი მიიჩნევს, რომ არა მარტო თურქეთის მოქალაქეებისთვის, არამედ ზოგადადაც, უნდა გამკაცრდეს მოქალაქეობის მინიჭება, რათა არ გაიყიდოს ჩვენი მიწები.

— ყოველგვარი სტანდარტების დარღვევით ხდება მოქალაქეობის გაცემა. სააკაშვილის ბოლო საქციელი სერიოზული დარტყმა იყო საქართველოსთვის. მან პიარი გაიკეთა იმით, თითქოს თურქეთში მცხოვრებ ეროვნებით ქართველებს გაუხსნა გზა, მიეღოთ ჩვენი მოქალაქეობა, თუმცა არანაირი ბერკეტი არ არსებობდა, რომ მართლა ქართველური წარმომავლობა დაედგინათ. პირობა იყო ასეთი, რომ თურქეთში არსებულ ქართულ სათვისტომოებში უნდა შეკრებილიყო განცხადებები, მერე ამ სათვისტომოებს თვითონ უნდა მოეხდინათ მათი გაცხრილვა და, ვისაც ქართველად მიიჩნევდნენ, მათთვის მიენიჭებინათ მოქალაქეობა. როდესაც გარკვეული ინტერესებია, ასეთი რამ დაუშვებელია. თურქეთში ბევრი სათვისტომოა — ზოგი პროქართული, ზოგიც პროთურქული, ანუ სხვადასხვა მიზნების მქონე. ამიტომაც ცხადია, დაუშვებელი იყო, რომ ყველა დაკმაყოფილდა და ყველამ მიიღო ჩვენი მოქალაქეობა“, — აღნიშნა რომან კვიციანმა.

იხ. 8 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო: პოლიტიკური სრულწლოვანებისკენ მიმავალ გზაზე

თედო ჯაფარიძე — საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი:

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის რეზიუმე გახდა მეორე ნებაყოფლობითი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში. მთავრობის თავმჯდომარემ დატოვა პოსტი „პიკზე“, საქართველოსთვის ისტორიული სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ ევროკომისიის დასკვნის ხუთი დღის შემდეგ.

ევროკომისიის დასკვნის დოკუმენტი სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ შეიძლება ჩავთვალოთ რუბიკონად დისკუსიებში იმის შესახებ, თუ როგორ გზას ირჩევს საქართველო. ეს ცხადია, პროევროპული ვექტორია, რომელიც განხილვას ან რაიმე პოლიტიკურ ვაჭრობას არ ექვემდებარება, ვინაიდან ესაა საქართველოს მოქალაქეთა არჩევანი. მომავალი წელი საქართველოსთვის ამ მიმართულებით საბედისწერო ხასიათისა უნდა იყოს. ეს არის ნატოს ვარშავის სამიტი, აგრეთვე ევროკომისიის პოზიტიური ანგარიშის იმპლემენტაცია სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ.

პრემიერ-მინისტრის გადადგომა, ამრიგად, ასევე შეიძლება განვიხილოთ და სასურველია, წარმოვადგინოთ საქართველოში დემოკრატიულ გარდაქმნათა კონტექსტში.

ქვეყნის ახალი ხელმძღვანელები, რომლებიც გრძნობენ პასუხისმგებლობას, არ ტკბებიან ხელისუფლებით ბოლომდე, არამედ სტიმულს აძლევენ შემდგომ გარდაქმნებს, რომლებიც აუცილებლად გაჩნდება განახლებულ მთავრობაში...

2016 წელს მოაქვს საქართველოსთვის გამოცდები რეგიონალური პოლიტიკური საკითხების აქტუალიზაციის თვალსაზრისით, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ და ენერგეტიკულ პროექტებთან. მათ შორისაა — რუსეთის მორიგი პოზიციის გაძლიერება სომხეთში (განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ, როგორც სამხედრო შემადგენელი ნაწილი — ბაზის მოდერნიზაცია გიუმრიში), აზერბაიჯანის დასუსტება (მანათის ვარდნა) და ირანის „გახსნა“ მისი მიმზიდველი ენერგორესურსებით. ეს ყოველივე ხდება და მოხდება ჩვენი უდიდესი მეზობლების და მოთამაშეების — რუსეთისა და თურქეთის ურთიერთდაპირისპირების, აგრეთვე უკრაინის კრიზისის ფონზე.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საქართველოს საზოგადოებრივ შემეცნებაში და, ობივატელურ დონეზეც კი, დამკვიდრდა თეზისი: „კარგია, რომ ჩვენთან არ ყოფილა სამხედრო- პოლიტიკური რყევები“. მივიჩნიოთ კი ეს ძირითად მიღწევად? შესაძლებელია, ეს არის საფუძველი საქართველოს წინსვლისათვის საგარეოპოლიტიკურ არენაზე, როგორც სუბიექტისა, რომელიც არის ყოველმხრივ მიმზიდველი სხვადასხვა ქვეყნისათვის თავისი გარეგნობითა და დაბალანსებული პოლიტიკით. ეს განსაკუთრებით ძნელია იმ პირობებში, როდესაც შენი ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია და როდესაც იქ დემოკრატიასა და გულღიაობას სამხედრო ბაზები ცვლიან.

დღევანდელი ეპოქა — ეს არის დრო, შეიძლება, ტექტონიკური ცვლილებებისა მსოფლიო წესრიგის კოორდინაციის სისტემაში, რომელიც ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ცივი ომის ეპოქაში. დღეს შეიძლება მხოლოდ ვიმკითხაოთ ყავის პოლიტიკურ ნალექებზე, თუ რა ელოდება საქართველოს ასეთი მოვლენებით გადატვირთულ რეგიონში. დრო არის ცივი და მერყევი, რომელიც აუცილებლად უნდა გაიარო ნაკლები დანაკარგებით და მაქსიმალური პოლიტიკური კონსოლიდაციის დროს, დემოკრატიული დისკურსის ფორმატში.

მე არაერთგზის მიმიქცევია ყურადღება იმაზე, რომ საქართველოს შეუძლია გახდეს თანამშრომლობისა და მოლაპარაკებათა მოედანი. საკითხი შეეხება აქ ისეთი შეხვედრების შესაძლო გამართვას, როგორებიცაა აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების მოლაპარაკებანი ანდა სხვებისაც — შავი ზღვის ან კასპიის ზღვის, შავი ზღვის — ბალტიის ზღვის — თანამშრომლობის ღერძის ფორმატს, შეიძლება, პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის (მე ამის შესახებ მეუბნებოდნენ ჩემი ისრაელელები კოლეგები). დღეს აბრეშუმის გზის პროექტის რეალიზაციის დაწყებასთან დაკავშირებით ასეთი შესაძლებლობანი კიდევ უფრო პერსპექტიულია და ისინი ახდენენ ექსტრაპოლირებას ცენტრალური აზიის რეგიონზე, რომლისთვისაც საქართველო არის ფანჯარა ევროპაში. და კიდევ, შესაძლებელია უფრო შორსაც. ჩინეთთან თანამშრომლობა დღევანდელ სამყაროში განსაკუთრებულ ღირებულებებს იძენს. შეიძლება დაიწყო მცირედით, რათა შემდეგ გადახვიდე უფრო მნიშვნელოვან ძვრებზე. მაგალითად, ეუთოს საპარლამენტო ფორუმი 2016 წელს, რომელიც ეწყობა საქართველოში, შეიძლება გახდეს ჩვენი ქვეყნისთვის და მისი ახალი თავმჯდომარისათვის მსოფლიოსათვის ნიშნულ მოვლენად.

საქართველოს მომავალი წელი შეიძლება გახდეს განსაკუთრებული რუსეთთან დამოკიდებულებაშიც. შეკითხვა „რა ფასად?“ მოსკოვის მიერ დეკემბერში ლიბერალიზაციისათვის გადადგმული ნაბიჯი არის რეზონანსი სავიზო ურთიერთობებში. და თუ ამას საერთოდ არ აქვს პოლიტიკური ფასი, იგი მაინც აქტუალურია, მეტად მნიშვნელოვანია თბილისისათვის რუსეთთან პოლიტიკის თვალსაზრისით, ანდა იმის გამო, რომ მოსკოვის პოლიტიკა საქართველოსთან დამოკიდებულებაში იყო, რბილად რომ ვილაპარაკოთ არამეგობრული.

ასე თუ ისე, „წითელ ხაზს“ — ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას — საქართველო არ დათმობს. ამ დროს სავსებით შესაძლებელია ვეძებოთ და აღმოვაჩინოთ შეხების ახალი წერტილები, მაგალითად, ანტიტერორისტული თანამშრომლობის თვალსაზრისით (არა ოპერაციულისა, რასაკვირველია, არამედ ინფორმაციულისა), ეკონომიკური პრობლემები... განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საფუძველს მოკლებულია სპეკულაცია რუსეთსა და საქართველოს შორის საგარეოურთიერთობათაშორისი კონსულტაციები დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამჟამინდელ პირობებში, არსებითად, ეს შეუძლებელია. აი, გავააქტიუროთ პარლამენტთაშორისი კავშირები, ეგრეთ წოდებული „საპარლამენტო დიპლომატია“ — რატომაც არა... თუმცა ესეც მეტად რთულია ეუთოში რუსეთის არსებობის შეკვეცისა და კრიტიკის გათვალისწინებით, რომელიც იქ გაისმის რუსეთის მისამართით.

საქართველომ გააკეთა თავისი არჩევანი. ეს არის ისტორიული გზა დასავლეთისკენ. მეორე კომპონენტი პოლიტიკაში — ესაა მზადყოფნა დიალოგისთვის, იქნება იგი რუსეთი, თურქეთი, ირანი თუ სხვა ქვეყნები. ქვაკუთხედია — დავიცვათ ჩვენი ინტერესები სხვების ბობოქრობაში. საქართველო პატივსაცემი პოლიტიკური აქტორია. ამ დროს ქვეყანა მხოლოდ ჯერ-ჯერობით სწავლობს ბევრ რამეს და ამაში არაფერია ცუდი. საქართველო ხომ 2016 წელს აღნიშნავს თავისი დამოუკიდებლობის მხოლოდ 25 წლისთავს. დადგება დრო, რომ საქართველო ჭაბუკური მაქსიმალიზმიდან და მჩქეფარე ემოციებიდან და რყევებიდან გადავიდეს პოლიტიკურ „სრულწლოვანებაში“.

„რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში“

დედამიწის ზურგზე

ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაზე, რომელსაც ბოევიკებმა შეუტიეს, გაისმა ხმამაღალი აფეთქების ხმა

2 იანვარს ამ ავიაბაზაზე ენჯაბის შტატის ქალაქ პატხანკოტში შეუტია შეიარაღებული ბოევიკების ჯგუფმა. ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემებით, საბრძოლო შეტაკებაში თავდამსხმელებთან მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 50 სამხედრო მოსამსახურემ ეროვნული უშიშროების გვარდიიდან. მოგვიანებით ძალოვნებმა განაცხადეს ყველა ტერორისტი ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ შემდეგ ბაზის ტერიტორიაზე კვლავ გაჩაღდა ურთიერთსროლები.

თურქეთი ამზადებს საჩივარს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსულ სანქციებზე

ქვეყნის ეკონომიკის მინისტრმა მუსტაფა ელიტაშმა უამბო ჟურნალისტებს, რომ თურქეთის მხარე აგროვებს დადასტურებებს. მინისტრი ასევე დაგვპირდა, რომ საერთაშორისო სასამართლოებში აღდგება რუსული სანქციებისაგან ყველა დაზარალებულთა უფლება, ვინაიდან ვაჭრობას უნდა ჰქონდეს „მორალური საფუძველი“.

პოროშენკოს ადმინისტრაციაში განმარტეს მისი გამოჩენა THE ECONOMIST -ის ყდაზე საახალწლო იუმორით

უკრაინის პრეზიდენტმა თავის ტვიტერში გამოაქვეყნა ჟურნალ The Economist-ის ყდა მსოფლიო ლიდერების პორტრეტებით, რომელზეც მან ვლადიმერ პუტინი „გამოაძევა“ 2017 წლისთვის. მოგვიანებით პუბლიკაცია გააქრეს, უკრაინის ლიდერის ადმინისტრაციაში კი ინტერნეტ-მომხმარებლებს და რუს ჟურნალისტებს დასდეს ბრალი იუმორის არასათანადო გრძნობის უქონლობაში.

საუდის არაბეთმა განაცხადა ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ

სამეფოს ხელისუფლებამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო დემონსტრანტების თავდასხმის გამო თეირანში საუდის არაბეთის საელჩოზე. საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ არ მისცემენ საშუალებას ირანს მიაყენოს საფრთხე ქვეყნის უშიშროებას, ამიტომ მოითხოვეს ყველა ირანელი დიპლომატის დამოუყოვნებლივი გამოძევება.

აფეთქების ხმა გაისმა ძაბულის საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად

წყაროების მონაცემებით, სამართალდაცვის ორგანოებში, ტერორისტმა თვითმკვლელმა ააფეთქა ავტომობილი ასაფეთქებელი ნივთიერებებით პოლიციის პოსტის მახლობლად. მონაცემები შესაძლო მსხვერპლისა და ნგრევების შესახებ ჯერჯერობით არ შემოსულა. არც ერთ დაჯგუფებას არ უკისრია პასუხისმგებლობა აფეთქებისათვის.

ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მოხდა ძლიერი მიწისძვრა

მიწისქვეშა ბიძგები დაიწყო 04.40 ადგილობრივი დროით. კერა 10 კილომეტრის სიღრმეზე იყო. ეპიცენტრი კი ტამენგლონგის ოლქში ინდოეთის შტატ მანიპურის აღმოსავლეთში მიანმასთან საზღვრის მახლობლად.

◎ ფრთხილად!

ამერიკა და ევროკავშირიც შეშფოთებულია

(მეშვიდე გვერდიდან)

ექსპერტი ახლო აღმოსავლეთის საკითხებში სოსო ზაალიშვილი აცხადებს, რომ თურქეთი აგრესიული პოზიციით ცდილობს, აღადგინოს ოტომანთა იმპერია. სწორედ ამ აგრესიული პოლიტიკის გამოვლენაა მათი საქციელი სირიაში, ქურთებთან მიმართებით არა მარტო თურქეთის, არამედ სირიის და ახლა უკვე ერაყის ტერიტორიაზეც. უფრო მეტიც, არსებობს საშიშროება, რომ თურქეთის დაზვერვამ და თურქულმა ექსტრემისტულმა ჯგუფებმა გააძლიერონ მოღვაწეობა აჭარის ტერიტორიაზე. ამიტომ საჭიროა დაზვერვითი, კონტრდაზვერვითი სამუშაოების საქართველოს ტერიტორიაზე გააქტიურება და ლოკალური ოპერაციების ჩატარება, რათა ექსტრემისტული ჯგუფები, რაც უთუოდ იქნება, განეიტრალდნენ. გარდა ამისა, თურქეთის ეკონომიკურ ექსპანსიას ეკონომიკური წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ და თურქებისთვის მოქალაქეობის მინიჭების პროცესი შევაჩეროთ.

— ასე შემოსული ხალხი მარტო საქართველოსთვის კი არაა პრობლემა, არამედ ამაზე ლაპარაკობენ აშშ-ში, ეს არის დებატების მთავარი თემა ევროკავშირში, რომ ამ ადამიანებს ჩამოართვან მოქალაქეობა და დააბრუნონ თავის საცხოვრებელ ადგილებში. მართალია, ისინი სამხედრო კონფლიქტს გამოექცნენ, მაგრამ თურქეთში არანაირი სამხედრო კონფლიქტი არ ყოფილა. ის ნატოს წევრი ქვეყანაა და გაუგებარია, რატომ მისცეს თურქეთის მოქალაქეებს საქართველოს მოქალაქეობა. ეს ყველაფერი წინასწარ გამიზნული პოლიტიკა იყო, რომ ასეთი მოქალაქეებისგან შემდგომ შეექმნათ მეხუთე კოლონა საქართველოში. 40 ათასი მოქალაქე ისეთ რეგიონში, როგორიცაა აჭარა, საკმაოდ დიდი საფრთხეა. გარდა ამისა, თურქეთში საკმაოდ ძლიერია ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერა, როგორიცაა „ჰამასი“, ტერორისტული ორგანიზაცია „იერუსალიმის არმია“, რომელთანაც კავშირი აქვს ერდოღანსა და მის შვილს, რასაც სტამბოლის ყოფილი დაზვერვის უფროსი ამბობს, — აცხადებს სოსო ზაალიშვილი.

მანანა ნოზაძე

სახიფათო პური: იანვრიდან ბევრი რამ გაირკვევა

პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც ფქვილის ეტიკეტირება სავალდებულო გახდება. ამის შემდეგ მომხმარებელი მიიღებს ინფორმაციას თუ რა შემადგენლობისაა ის ძირითადი პროდუქტი, რომელსაც ყოველდღიურად საკვებად იყენებს.

საქართველოს მთავრობის 376-ე დადგენილებით დარეგულირდება ხორბლის ფქვილის წარმოების და გადამუშავების ბაზარზე განთავსების პირობები. ახალი წლიდან პურის ეტიკეტზე უნდა იყოს დატანილი წარწერა, რომელზეც მითითებული იქნება ფქვილის ხარისხი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბაზარი უხარისხო პურპროდუქტებისგან დაცული არ არის და მომხმარებლის უფლება ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა. პრაქტიკულად, არავის აქვს ინფორმაცია რეალურად რა დანამატებისგან მზადდება პური.

პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მალხაზ დოლიძე ამბობს, რომ ფქვილს აქვს თავისი მახასიათებლები და ბოლო წლებში პურპროდუქტების წარმოებამ მოდერნიზაცია განიცადა. ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ აირსა და მთელ რიგ კომპონენტებზე ფასების ზრდამ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ინტენსიური ტექნოლოგიების შემოღება გამოიწვია, რამაც თითქმის სრულად ჩაანაცვლა კლასიკური ტექნოლოგიური პროცესი.

— კლასიკური ტექნოლოგიის გამოყენების შემთხვევაში კი შედეგის მიღებას დაახლოებით 6 საათი სჭირდება. ცომის გაფუებას, მოზელვას გარკვეული დრო უნდა. დღეს არსებული ტექნოლოგიით, მოზელილ ცომს საფუართან ერთად ფერმენტები ემატება, რათა შეფერილობა და ფორმა სწრაფად მიიღოს. კარგა ხანია, რაც კლასიკური ტექნოლოგიებით მომუშავე დიდი ქარხნები, ფაქტობრივად, ბაზრიდან გაქრნენ, რადგან ამ ტიპის ტექნოლოგია ძალიან დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული“, — ამბობს მალხაზ დოლიძე.

მისივე თქმით, მართალია, ინტენსიურ ტექნოლოგიაში ძალიან ბევრი დანამატი, ფერმენტი გამოიყენება, მაგრამ ეს თემა მხოლოდ თბილისში არ არის აქტუალური.

— ეს პრობლემა მთელ მსოფლიოშია. ფორტიფიკაცია და ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ძალაში პირველი იანვრიდან შევა, იმედია, ამას მკაცრად გააკონტროლებს. რაც შეეხება ვიტამინების დამატებას — როგორც მეწარმე, წინააღმდეგი ვარ მასიურად მოხდეს ფოლიუმის მჟავის გამოყენება. ყველა წამალი არის რეაქტიული, აქვს უკუქმედება. ზოგისთვის ის საჭიროა, ზოგისთვის არა, ამიტომ არ მესმის, რატომ უნდა იყოს ამ დანამატის ყველა პურში გამოყენების ვალდებულება?!“, — თქვა „ბიპიენთან“ საუბრისას პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარემ.

მომხმარებელთა ფედერაციის პრეზიდენტის მადონა კოიძის ინფორმაციით, საკვები დანამატები და საღებავები სხვადასხვა პროდუქტში მთელ მსოფლიოში გამოიყენება, მათ შორის, ჩვენთანაც.

„შეღებილი პური ჯანმრთელობისთვის საზიანო არ არის. მთავარი პრობლემა ისაა, რომ ქვეყანაში არ არსებობს ლაბორატორია, სადაც გაირკვევა, რა ტიპის საღებავებს იყენებენ წარმოებაში“, — აღნიშნა კოიძემ.

მომხმარებელთა ფედერაციის პრეზიდენტის განმარტებით, საქართველოში ჭვავის ფქვილი ძალიან მცირე რაოდენობით შემოდის, ბაზარი კი შავი პურითაა გაჯერებული. **„საქართველოში წარმოებული შავი პურის ნიმუშები ცოტა ხნის წინათ გერმანიის ლაბორატორიაში გაიგზავნა, პასუხი საინტერესო იყო. აღმოჩნდა, რომ საქართველოში წარმოებულ პურში ჭვავის ფქვილის მხოლოდ კვალი აღინიშნება“,** — განაცხადა კოიძემ.

სურსათის დეპარტამენტის რისკების მართვისა და კონტროლის სამმართველოს უფროსის თამთა მიქანაძის ინფორმაციით, პურის ხარისხი ახლაც მოწმდება, თუმცა, მხოლოდ პესტიციდების, რადიაციული ფონის, მძიმე მეტალებისა და სხვა ტოქსიკური ელემენტების შემცველობა.

„ამ მხრივ დარღვევები, ჯერჯერობით, ადგილობრივ წარმოებაში არ აღრიცხულა“, — განაცხადეს სააგენტოში.

„მომხმარებელი.გე“-ს დამფუძნებლი ლია თოდუა კი აცხადებს, რომ ხორბლის ფქვილის რეგლამენტის შემოღება წინგადადგმული, მაგრამ არასაკმარისი ნაბიჯია. მისი აზრით, ეტიკეტირება სავალდებულო უნდა გახდეს არა მხოლოდ თეთრ, არამედ შავ და ჭვავის პურზეც.

„იმავდროულად, ეტიკეტირება უნდა მოწმდებოდეს მკაცრად, რადგან იყოს სანდო. ასევე გადაისედოს შეფუთვის საკითხიც, რადგან პურის გადატანისას მისი დაბინძურებაც საკმაოდ აქტუალური პრობლემაა“, — ასკვნის ლია თოდუა.

ბექა დანელია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ განმეორებით აუქციონს გიორგი ღლონტის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი ღლონტი (პ/ნ 33001021666), ოზურგეთის რ-ნი, სოფელი დვაბზუ.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ოზურგეთი, ზ. თენიეშვილის ქ. №12, სართული 4, ბინა №16 (საკადასტრო კოდი: 26.26.56.025.01.016).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 8274.74 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 5 იანვარი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 18 იანვარი, 12:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP26955816;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 269558

6. **მოვალე:** გიორგი ღლონტი (პ/ნ 33001021666), ოზურგეთის რ-ნი, სოფელი დვაბზუ.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება, შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP26955816; ლოტის ნომერი: 269558).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 15 იანვრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს სოფიკო ნარმანიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სოფიკო ნარმანია (პ/ნ 62006000501), თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. №144, სართული 5;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. №144, სართული 5, ფართი №233, 46.77კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.17.11.027.048.01.233).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 169 45.40 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 18 იანვარი, 12:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** სოფიკო ნარმანია (პ/ნ 62006000501), თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. №144, სართული 5.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 18 იანვრის, 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ საკალათბურთო მოზაიკა

შენგელიას ექვსიანები და გამარჯვება „რეალთან“

თორნიკე შენგელიას „ლაბორალ კუჩამ“ ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტ მადრიდის „რეალს“ 86:80 სძლია და 11 მოგებითა და 3 მარცხით სატურნირო ცხრილში სწორედ „სამეფო კლუბთან“ ერთად მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს.

შენგელია სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 17 წუთში 6 ქულა, 6 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 დაფარება მოაგროვა. თორნიკემ 5-დან 2 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი ააცილა, ბურთი 2-ჯერ დაკარგა და მის წინააღმდეგ 3-ჯერ დაჯარიმდნენ.

მართალია, ქართველ ფორვარდს შედეგიანი მატჩი არ ჰქონია, თუმცა, დასკვნითი წუთების დროს მოედანზე იყო და დაცვაში შეუდარებლად გაისარჯა. მისი ზონიდან „რეალმა“ ფაქტობრივად ვერცერთი შედეგიანი შეტევა ვერ მიითვალა და თანაც „თოკოს“ 1 პერსონალური ფოლიც კი არ მიუღია.

შეხვედრის საუკეთესო კალათბურთელი მასპინძელთა ბერძენი ცენტრი იოანის ბურუსისი გახდა, რომელმაც 24 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა, ამერიკელმა მაიკ ჯეიმსმა და ფრანგმა კიმ ტილიმ კი 15-15 ქულა ჩააგდეს.

მადრიდულ გრანდში 20 ქულით და 8 პასით სერხიო როდრიგესი გამოირჩა, ამერიკელმა ჯეისი კეროლმა 17 ქულა ჩააგდო, ხოლო არგენტინელი ანდრეს ნოჩიონის მონაგარი 13 ქულა იყო.

ერთი საინტერესო დეტალიც: „ფერნანდო ბუესა არენაზე“ გამართულ ტურის ცენტრალურ მატჩს 15 544 მაყურებელი დაესწრო, რაც ესპანური ლიგის ყველა დროის რეკორდია. „ლაბორალ კუჩა“ მე-13 ტურის შეხვედრას 10 იანვარს სტუმრად „ბასკეტ მანრესას“ წინააღმდეგ ჩაატარებს.

შერმადინის 29 ქულა და დასანანი მარცხი

„მორაბანკ ანდორას“ ქართველმა ცენტრმა გიორგი შერმადინმა ესპანურ ლიგაში საოცარი მატჩი ჩაატარა, დასანანი კი ის გახლდათ, რომ მისმა გუნდმა დრამატული ფინიშის ჯახი სტუმრად „ობრადოიროსთან“ დამატებით დროში 103:104 წააგო.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და 25 წუთში ანდორელთა მაისურით პირადსარეკორდო 29 ქულა, 8 მოხსნა (4 შეტევაში) და 1 დაფარება მიითვალა.

სასიხარულოა ისიც, რომ შეტევაში გიორგის ჩინებული პროცენტული მაჩვენებლები ჰქონდა. მან 15-დან 12 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, ერთხელ დაუფარეს, 4 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი ერთბაშად 7-ჯერ დაჯარიმდნენ.

შერმადინის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 34-ს უწია, რაც ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. „ობრადოიროს“ გამარჯვებაში ლომის წილი პოლონელმა ადამ ვაჩინსკიმ დაიდო, რომელმაც 30 ქულა ჩააგდო.

„მორაბანკ ანდორას“ 7-7 მოგება-წაგება მოუგროვდა და 14 ტურის თავზე მე-6 ადგილზე იმყოფება. შერმადინის კლუბი მომდევნო მატჩს 10 იანვარს შინ „ვალენსიას“ წინააღმდეგ ჩაატარებს, რომელსაც მიმდინარე სეზონში ყველა თამაში მოგებული აქვს.

სანიკიძემ ლიდერთან გაიბრწყინა: 25 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი

ვიქტორ სანიკიძის ჩინებული თამაშის წყალობით, „ტედ ანკარა კოლეჯლილერმა“ თურქეთის ჩემპიონატის ლიდერ „ანადოლუ ეფესს“ სტუმრად დიდი წინააღმდეგობა გაუწია და მხოლოდ ბოლო წამებზე წააგო — 72:75.

საქართველოს ნაკრების ფორვარდი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და თითქმის შეუცვლელად — 38 (!) წუთი ითამაშა. ამ დროში „ვიკას“ მონაგარი 25 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება გახლდათ.

სანიკიძემ 4-ვე ორქულიანი, 7-დან 3 სამქულიანი და 9-დან 8 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა და 3 პერსონალური ფოლი მიიღო. გასაკვირი არ ყოფილა, რომ ვიქტორი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

საინტერესოა, რომ სანიკიძეს თამაში ხორვატეთის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერ დარიო სარიჩის წინააღმდეგ უწევდა და მეტად საინტერესო დუელიც გამოვიდა. სარიჩმა 30 წუთი ითამაშა და 20 ქულა, 9 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა, თუმცა, სათადარიგოთა სკამზე ნაადრევად, 5 პერსონალური ფოლის მიღების შემდეგ გადაინაცვლა.

„ტედ ანკარა კოლეჯლილერმა“ 6 მოგება და 8 მარცხი მოაგროვა და 16-გუნდიან ლიგაში მე-10 ადგილზე იმყოფება. დედაქალაქური კლუბი მომდევნო შეხვედრას 9 იანვარს შინ მე-9 ადგილოსან „გაზიანთეფთან“ ჩაატარებს.

ბურჯანაძე ფავორიტთანაც გამოირჩა

ბექა ბურჯანაძის „ლეიმა ბასკეტ კორუნამ“ ესპანეთის მე-2 ლიგის ერთპიროვნულ ლიდერ „პალენსიასთან“ გასვლითი მატჩი 86:91 წააგო, სასიხარულო კი ის იყო, რომ ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი ფავორიტთანაც ყოჩაღად გამოიყურებოდა და მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

ბურჯანაძე სასტარტო ხუთეულში იყო და 27 წუთში 23 ქულა, 8 მოხსნა (4 შეტევაში) და 2 ჩაჭრა მოაგროვა. ბექამ 13-დან 7 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 6-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი არცერთხელ დაუკარგავს, 3 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 5-ჯერ დაჯარიმდნენ.

საბოლოოდ ქართველი ფორვარდის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 27-ს უწია, რაც ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. დიდი შანსია, ბექამ ტრადიცია არ დაარღვიოს და ტურის სიმბოლურ ხუთეულში კიდევ ერთხელ მოხვდეს.

„ლეიმა ბასკეტ კორუნა“ 7 მოგებით და 9 მარცხით 16-გუნდიან ლიგაში მე-10 ადგილზეა, მომდევნო მატჩი კი 8 იანვარს შინ მე-2 პოზიციაზე მყოფ „მელილა ბალონკესტოსთან“ ელის.

ბატლერმა ჯორდანის რეკორდი დაამხო

„ჩიკაგო ბულზის“ ფორვარდმა ჯიმი ბატლერმა „ტორონტო რეპტორზთან“ მოგებული (115:113) მატჩის მე-2 ტაიმში 40 ქულა ჩააგდო და საკლუბო რეკორდი დაამხო, რომელიც მაიკლ ჯორდანს ეკუთვნოდა. ლეგენდარულ ამერიკელ კალათბურთელს 1989 წლის 16 თებერვალს 39 ქულა ჰქონდა ჩაგდებული.

აქვე ვთქვათ, რომ გასულ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია ჩიკაგოელთა კიდევ ერთ ლიდერ დერიკ როუზს, რომელსაც მუხლქვეშა მყესები აქვს დაზიანებული და უკვე 3 მატჩია მოედანზე გასვლას ვერ ახერხებს. როუზს კიდევ ერთი, დამატებითი გამოკვლევა ელის.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

„ვუსტერს“ გმირობა არ გამოუვიდა

ჯაბა ბრეგვაძის „ვუსტერ უორიორზმა“ ინგლისის „ავივა პრემიერშიპის“ მე-8 ტურის მატჩში „ჰარლექუინზთან“ დასკვნით 30 წუთში 17 უპასუხო ქულა მოაგროვა, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

საქართველოს ნაკრების კვაჭი ახალ წლებზე თბილისში შენიშნეს და, ბუნებრივია, გუნდის განაცხადში ვერ იქნებოდა. თამაშს 9 ათასი მაყურებელი ესწრებოდა და პირველ ტაიმში გატანილ 2 ლელოს მეორის დასაწყისში „ჰარლექუინზმა“ მესამეც შემატა — 3:24. მასპინძლებმა მატჩში გარდატეხის შეტანა შეძლეს და 48-ედან 69-ე წუთამდე 3 საპასუხო ლელო გაიტანეს, მაგრამ ორი გარდასახვა გაუცუდდათ, დასკვნით 10 წუთში ქულა ვეღარ აიღეს, 20:24 დამარცხდნენ და მხოლოდ 1 პრემიალურ ქულას დასჯერდნენ.

„ვუსტერი“ მომდევნო თამაშს 10 იანვარს სტუმრად „უოსპზის“ წინააღმდეგ გამართავს.

ბადრი იაშვილი

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

ინგლისი. „არსენალი“ — „ნიუკასლი“ 1:0, „უოტფორდი“ — „სიტი“ 1:2, „ლესტერი“ — „ბორნმუთი“ 0:0, „მანჩესტერი“ — „სუონსი“ 2:1, „ევერტონი“ — „ტოტენჰემი“ 1:1, „კრისტალ პალასი“ — „ჩელსი“ 0:3, „ვესტ ჰემი“ — „ლივერპული“ 2:0.

ესპანეთი. „ატლეტიკო“ — „ლევანტე“ 1:0, „ესპანიოლი“ — „ბარსელონა“ 0:0, „მალაგა“ — „სელტა“ 2:0, „ვალენსია“ — „რეალი“ 2:2, „დეპორტივო“ — „ვილიარეალი“ 1:2, „ბილბაო“ — „ლას პალმასი“ 2:2, „გრანადა“ — „სევილია“ 2:1.

გიორგი ზოთაძე

◎ სეზონის წინ

ნადალი: კარგ ფორმაში ვარ

დიდი სლემის 14-გზის გამარჯვებულმა რაფაელ ნადალმა წარუმატებელი წლის შემდეგ განაცხადა, რომ კარგ სპორტულ ფორმაში იმყოფება და მომავალი სეზონისთვის ემზადება.

„კორტზე ძალიან ბევრს ვვარჯიშობ — სხეული ამის საშუალებას მაძლევს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მთელი განვლილი წლის განმავლობაში არ მიმიღია არც ერთი ტრავმა, კარგ ფორმაში ვარ და მომდევნო სეზონისთვის ვემზადები“ — აღნიშნა ნადალმა.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

რაიან გიგზს ძმამ აპატია

ნამეტანი დიდი ბოდიში გვითქვამს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ქართველ ქომაგებთან, მაგრამ მათი კერპი (ანდა ყოფილი კერპი) რაიან გიგზი ჭეშმარიტად დიდი ნაძირალაა, რამეთუ მას რვა წლის წინათ საკუთარმა ძმამ როდნიმ თავის ცოლთან ნატაშასთან ხვანცალის დროს შეუსწრო და რძლის გამბახებელ ძმას მთელი რვა წლის განმავლობაში არ ელაპარაკებოდა.

ახლა კი ბრიტანულ ბულვარულ მედიაში გაჩნდა ცნობა, რომ რაიანს მისი ძმა შეურიგდა და ყველაფერი აპატია, რაც, დაგვეთანხმებით, პატიებათა შორის ერთ-ერთი დიდი პატიებათაგანია. რაიანისა და მისი ძმის შერიგებას თან თურმე დიდი ცრემლები და ამ ყველაფრის თანმხლები ქვითინიც ახლდა.

შერიგება ზოგადად კარგი ნაბიჯია და რა ჩვენი საქმეა, ვინ ვის რას აპატიებს, მაგრამ ამ ოხერ ფიქრებსა და ეჭვებს სად წავუვალთ? როდესაც კაცი საკუთარ ღვიძლ ძმას ცოლს აულაგმავს, იმისი საუბარი კი არა, გამარჯობაც კი არაა დასაჯერებელი. მით უმეტეს, რომ ასეთი ცნობილი კაცია და ასეთ დიდ პატივს სცემს ყველა...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ დედაქალაქი

ახალი წელი „ზღაპრების ქალაქში“

ახალი წლის დადგომასთან ერთად ნამდვილი ზამთრის საკადრისი სუსხიც შემობრძანდა მთელს საქართველოში, ჩვენს საყვარელ დედაქალაქში.

ამიტომაც ახლა უკვე სრული დატვირთვით ამოქმედდა ზამთრის ყველა ის ატრაქციონიც, რომელიც ასე უყვართ ჩვენს პატარებს. ამჯერზე მხედველობაში გვაქვს საციგურაო მოედანი რესპუბლიკის მოედანზე. ეს დიდ-პატარასთვის მეტად მომხიბლავი გასართობი, ახალი წლის წინა დღეებშივე გაიხსნა, თუმცა კი გარკვეული ტექნიკური პრობლემების გამო, მაშინ მისი სრულფასოვნად ამოქმედება ვერ მოხერხდა, რაზეც ჩვენს გაზეთში აღვნიშნეთ კიდეც და იმედიც გამოვთქვით, რომ ყველაფერი მალევე გამოსწორდებოდა. ასე მოხდა კიდეც, რის გამო ჩვენს პატარა თანამოქალაქეთა და მათ მშობელთა სახელით ტექნიკურ პერსონალს მადლობას მოვახსენებთ.

ბუნებრივია, რომ საახალწლო-საშობაო სადღესასწაულო შეხვედრები ამ დღეებში დედაქალაქის უკლებლივ ყველა უბანში იმართება, თუმცა კი ცენტრი, რაღა თქმა უნდა, რესპუბლიკის და პარლამენტის მოედნებია. როგორც აღვნიშნეთ, რესპუბლიკის მოედანზე საახალწლო-სამხიარულო ერთგვარი მიზიდულობის ცენტრი საციგურაო მოედანია, თუმცა გასართობი სხვაც ბევრია. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია „მოძრავი თეატრი“, რომლის დასის მსახიობები პარლამენტის მოედნის მიმართულებით გადადიან, მერე კი თბილისის სხვა უბნებსაც სტუმრობენ.

დედაქალაქის ცენტრში დიდებსა და პატარებს „ზღაპრულ ქალაქში“ თოვლის პაპასთან ერთად დღესასწაულს ბასტი და ბუბუ, ასევე ჩვენი საყვარელი ბაბილინა მასპინძლობენ, ოჩოფეხებზე შემდგარი მსახიობები, ჯამბაზები, ზღაპრების პერსონაჟები პატარებსაც და დიდებსაც ერთიანად ახალისებენ.

ოთარ ტურაბელიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

სანთელი

მერი კვაჭანტირაძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიის მეცნიერებათა და საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი, პროფესორი **მერი სევასტის ასული კვაჭანტირაძე**.

მ. კვაჭანტირაძე დაიბადა 1935 წ. ქ. ოზურგეთში. 1951 წ., სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, სწავლა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც 1956 წ. წარჩინებით დაასრულა.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ბიოფიზიკის კათედრაზე ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, მუშაობა დაიწყო მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც ლაბორანტიდან სამეცნიერო ნაწილში დირექტორის მოადგილემდე ყველა თანამდებობრივი საფეხური გაიარა. ამ ინსტიტუტშივე დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. 2002 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ქალბატონი მერი 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და არაერთი გამოგონების ავტორი და თანაავტორია. 1989 წ. მიენიჭა „საბჭოთა კავშირის გამომგონებლის“ წოდება. მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი 2006 წ. ლონდონში გამოცემული ქართულ-ინგლისური გამოყენებითი ლექსიკონის შედგენაში. ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას. მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მიღებული აქვს მთავრობის სხვადასხვა ჯილდო.

ჭეშმარიტი მეცნიერისა და სიკეთით დაჯილდოებული ქალბატონის, აკადემიკოს მერი კვაჭანტირაძის ნათელი ხსოვნა მისი ოჯახის წევრების, ახლობლებისა და კოლეგების გულებში სამარადისოდ დარჩება.

თამაზ ორჯონიკიძე

მეუღლე ნუნუ დევნოსაძე, შვილიშვილები ბექა, ვახტანგ ჯიბლაძეები, და ლია, დისშვილები ბეჟან ლორთქიფანიძე, ციალა, ლამზირა, მარლენ, ბაჩანა დოლიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დანიელ ჯიბლაძე

პანაშვიდი 3, 4 I, 17 სთ. გამოსვენება 5 I, 14 სთ. მისამართი: ფალიაშვილის ქ. №2, 1 სადარბაზო.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე აკადემიის წევრის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პრორექტორის, მეცნიერის, უმაღლესი სკოლის ორგანიზატორის, ღირსეული მამულიშვილის, პროფესორ

დანიელ ჯიბლაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 5 I, 14 სთ. ფალიაშვილის ქუჩა №2.

განცხადება

2016 წლის 26 თებერვალს, 14 საათზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7) გაიმართება ქ. ჭიათურაში მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. საქმიანობის განმახორციელებელია შპს „ჯორჯიან მანგანეზი“.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ახალი, 200 ტ/სთ წარმადობის მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობას და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - მისამართი: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7;
- შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- ირაკლი ნოზაძე. ტელ: 577 25 75 15;
  E-mail: i.nozadze@gaalloys.com;
- ჯუღული ახვლედიანი. ტელ: 595 59 52 55;
  E-mail: j.akhvlediani@gamma.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ადმინისტრაცია

◎ ინფორმაცია

ამით C ჰეპატიტს თავიდან ავიცილებთ

2016 წლის პირველი იანვრიდან ჯანდაცვის სამინისტრო ტატუსა და სილამაზის სალონების შემოწმებას იწყებს. ამის შესახებ მთავრობის ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა.

„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაიწყო ინფექციური დაავადებების – ჰეპატიტის ელიმინაციაა, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან კომპონენტებს, ინფექციების გავრცელების პრევენციას. ჩვენ შემოვედით ინიციატივით, ისეთ ადგილებში, სადაც არ კონტროლდებოდა ინფექციური დაავადებების გადადება, ტატუსა და სილამაზის სალონებში დანერგილიყო ელემენტარული პირობები და იანვრიდან დაიწყება შემოწმება“, – განაცხადა მინისტრმა.

მძღოლებო, ასქულიანი შეფასება არ ამოქმედებულა!

„2016 წლის 1 იანვრიდან მართვის მოწმობაზე მინიჭებული შეფასების ე. წ. 100-ქულიანი სისტემა არ ამოქმედებულა“, – აღნიშნული განმარტება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა თეა პერტაიამ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გააკეთა.

როგორც პერტაია განმარტავს, აღნიშნული ინიციატივა პარლამენტის განხილვის საგანია და ჯერ მხოლოდ კანონპროექტის სახით არის წარმოდგენილი.

„ეს იმას ნიშნავს, რომ არანაირი სამართლებრივი საფუძველი, რომ მართვის მოწმობებთან მიმართებაში მსგავსი რეგულაცია ფუნქციონირებდეს, არ არსებობს.

იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონპროექტი კანონის ძალას მიიღებს, დაიწყება ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია და, შესაბამისად, ამის თაობაზე თითოეული მძღოლი ინფორმირებული იქნება“, – წერს პერტაია.

მტანჯველი მარწუხებით

ღია ბარათი ქალბატონ ნანი ბრეგვაძეს

ქალბატონო ნანი,

მოგწეროთ?

არ მოგწეროთ?

ძალიან არ მინდა, ეს თქვენთვის სულ ერთი იყოს.

„მე თქვენ მიყვარდით და შეიძლება, კვლავ ვგრძნობდე გულში მტანჯველ მარწუხებს“ – ასე თარგმნა ანა კალანდაძემ პუშკინის საყოველთაოდ ცნობილი ლექსი.

როცა ახლახან ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ კიდევ ერთხელ წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ სიყვარულს ნამდვილად ახლავს მტანჯველი მარწუხები.

ყველანაირ სიყვარულს!

მით უფრო ისეთ წმინდასა და ამაღლებულს, თქვენდამი რომ ვგრძნობ.

ასე უამრავს უყვარხართ.

და აქ, ამ უამრავში, სრულიადაც არ ვგულისხმობ ანგარებით თქვენთან დაკავშირებულთ, თქვენი მხარდაჭერა კარიერულ წინსვლაში რომ ეხმარებათ.

მე თქვენთვის არც ვარსკვლავი გამიხსნია და არც გიტარა ამომიტანია ბათუმიდან ქობულეთში (ბულვარულ ჟურნალებში წაკითხული მახსენდება). სამაგიეროდ, თქვენც არასოდეს გამოგიგზავნიათ ჩემთვის ვარდისფერი მოსაწვევები. და ძალიანაც კარგი – სიყვარული უანგარო უნდა იყოს...

ისე, რად უნდა ვარსკვლავს ვარსკვლავი, თანაც ბევრი სრულიად არავარსკვლავის გვერდით?!

ერთხელ, გამოვდივარ გამომცემლობა „სამშობლოდან“(„თბილისის“ რედაქციიდან) და ვხედავ, გაზეთების გამყიდველს მურმან ლებანიძე ებაასება. გამეხარდა. მოვიკითხეთ ერთმანეთი და უცებ ბატონი მურმანი მეუბნება: „ეს ქალუკა, რომელსაც თავი კომპოზიტორი ჰგონია, რუსთაველის პრემიას ეპოტინება და ნანის მეტოქეობას არ თაკილობს?!“

რას წარმოიდგენდა, რომ ვარსკვლავებში მაინც გაგიტოლდებოდათ.

ასე უყვარდით საქართველოში...

* * *

თქვენი მეუღლე რომ ცოცხალი იყოს, განქორწინებულიც კი, ალბათ, დუელში გამომიწვევდა.

არადა, სრულიად უსაფუძვლოდ.

და მაინც, რისთვის დამჭირდა ეს სუმბურული შესავალი? – მხოლოდ და მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ღია ბარათს სიყვარული მაწერინებს.

სათქმელი რა მაქვს?

საკმაოდ უსიამოვნო.

მტანჯველი მარწუხები, თქვენთან მიმართებაში, მხოლოდ მაშინ შემომიტევენ ხოლმე, როცა მედიაში (კერძოდ, სოციალურში) მწარედ გაკრიტიკებენ.

ყველაზე ტრაგიკული კი ის არის, რომ ამ

მწარე კრიტიკას ... ნამდვილად იმსახურებთ.

დიახ, იმსახურებთ!

გიგი უგულავა შეიწყალეთო?!

ნუ მეტყვით, რომ ყველა ხელოვანს, მით უმეტეს ქალს, ასეთი პოზიცია უნდა ჰქონდეს. ამის თქმის უფლება მაშინ გექნებოდათ, თავის დროზე, გირგვლიანისა და როგაძიძის მკვლელობა, შვიდი ნოემბერი და ოცდაექვსი მაისი რომ გაგეპროტესტებინათ.

უფრო შორს აღარ წავალ.

უფრო შორს რომ წავიდე, ზვიად გამსახურდიასთან მივალ, ერთადერთ მთავრობასთან, რომელსაც დაუპირისპირდით, რადგან თავს კომფორტულად ვეღარ გრძნობდით, არადა, სწორედ ის მთავრობა იყო ჭეშმარიტად ეროვნული.

„შეუძლებელია, მშვიდად ეძინოს მას, ვინც თავის სამშობლოზე უკეთ ცხოვრობს.“ – ამას გურამ დოჩანაშვილი ამბობს.

გამოვტყდეთ, ქალბატონო ნანი, ჩვენ ჩვენს ბედკრულ სამშობლოზე უკეთ ცხოვრება და, იმავდროულად, მშვიდი ძილი გვირჩევნია. ეს ორი რამ კი, ჩანს, შეუთავსებელია, მით უფრო ხელოვანთათვის, რომელთათვისაც კონფორმიზმი ბუნებრივ მოთხოვნილებად ქცეულა.

ერთხელ უკვე ვწერდი, რომ თქვენ გქონდათ დიდი შანსი, საქართველოს ერთ-ერთ სიმბოლოდ რომ ქცეულიყავით. სწორედ აქ შეგიშალათ ხელი წყეულმა კონფორმიზმმა.

თქვენ ისეთი მშვენიერი ხართ (ნიჭზე აღარას ვიტყვი), რომ მიშასა და გიგის დაფინანსებული ძვირად ღირებული კაბები სულაც არ გჭირდებოდათ – „ჯვალოს ტომრითაც“ კი მოგვაჯადოებდით.

მადლიერებას გამოხატავთ?

მაშინ ივანიშვილს რას ეუბნებით?!

ერთხელ ინტერვიუში მითხარით, ბიძინა ივანიშვილს არ სჭირდება კარნახი, ვის დაეხმაროს, ეს თვითონ შესანიშნავად იცისო.

იმასაც სჭირდება, ქალბატონო ნანი!

ვაი, რომ არავინ ეტყვის, ჩვენზე გაჭირვებულებიც არსებობენ და იმათ დაეხმარეთო.

თუმცა, ეს მისი და მხოლოდ მისი საქმეა.

* * *

მრავალი წლის წინათ, შესანიშნავმა მუსიკისმცოდნემ, ქალბატონმა ნანა ქავთარაძემ სატელევიზიო გადაცემაში განაცხადა, საქართველოსთვის ნანი ბრეგვაძე იგივეა, რაც საფრანგეთისთვის ედიტ პიაფიო.

მაშინ ამ ნათქვამმა ძალიან გამახარა, მაგრამ განვლილმა წლებმა აჩვენა, რომ ეს სურვილი და ავანსი უფრო იყო, ვიდრე რეალობა.

არ ვიცი, მოაწერეთ თუ არა ხელი, თავის დროზე, „თვითმფრინავის ბიჭების“ შეწყალების მოთხოვნას, იმ ორიოდე პიროვნების ვინაობა კი ცნობილია, ხელმოწერა უკან რომ არ წაიღეს.

საბედნიეროდ, დღეს ამას არავინ მოგთხოვთ.

უბრალოდ, კარგად გაიაზრეთ ხოლმე, ქალბატონო ნანი, ვის და რატომ იწყალებთ და როგორ შეაფასებს ამას ქართველი ერი, დიახ, ერი და არა ბრბო, როგორც ზოგიერთ თქვენს „კოლეგას“ ჰგონია.

ერის სიყვარული კი არც ჯილდოებით იზომება და არც ვარსკვლავებით.

ეს გულში ჩხვლეტებით იზომება – მტანჯველი მარწუხებით.

წესით, ეს თქვენ არ უნდა გესწავლებოდეთ – რა გულისწამღებად მღერით აკაკის ღვთაებრივ სტრიქონებს, ლაღიძის არანაკლებად ღვთაებრივი მელოდიის თანხლებით, თქვენი არანაკლებ ღვთაებრივი ხმით: „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ“...

ბევრს არც დედასამშობლო მოითხოვს...

იოსებ ჟუმბურიძე

გამოიწერეთ:

6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართი:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA

მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

კადრი

ცინცხალი ანეკდოტები

მაღაზიაში გამყიდველი ნოუთბუქზე ფასის მაჩვენებელს ცვლის – 1100 ლარის ნაცვლად 700 ლარს აწერს.

– ასე უცებ რატომ გაიაფდა იგი? – ეკითხება მყიდველი.

– საახალწლო ფასდაკლებები დამთავრდა.

* * *

– **ეძიმო**, ჩემმა ოპერაციამ კარგად ჩაიარა?

– რა ექიმი, რისი ექიმი? პეტრე მოციქული ვარ.

* * *

– **დღეს** რა რიცხვია?

– ორი იანვარი.

– რაო, პირველი არ ყოფილა?

* * *

მიხო მანქანას ყიდის.

– მანქანა ახალივით გამოიყურება. – ეუბნება მუშტარი.

– გამოიყურება კი არა, ახალია, ახალი. ძარა ახალია, ძრავი ახალია, სიჩქარის კოლოფი ახალია, უკანა ხიდი ახალია, წინა სავალი ნაწილები ახალია, საჭის მექანიზმი ახალია, კარდანიც ახალია, ყველაფერი ახალია.

– მერე რატომ ყიდი?

– ახალი მინდა.

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აღონიერებთ მართალ სიტყვას!